



# លោក សៀវា នូវ រដ្ឋាភិបាល

ខាសពុម្ព កាលប៉ុណ្ណ  
និលូនបាត-និលូនសាបន្ទាបុលូនបុ  
និង និលូន-និលូនបុលូនបុ  
និលូនបុលូន បានឈរជាបីបីបី

ហិរញ្ញវត្ថុ



მზე შინა

ღა

მზე გარეთა

ესოდული ხალხური  
დღეობა-დღესასეფაულები ღა ზეს-ჩვეულებები  
აღჭრილი ბავშვებისათვის

# ქართული კულტურული მემკიდრეობა ბავშვებისათვის

## წიგნი I

გივი ჩიღვინაძე — ქართული ხალხური დღეობა-დღესასწაულები  
და წეს-ჩვეულებები

Givi Chighvinadze – Traditional Georgian folk holidays

რედაქტორი: ლევან ფრიძე  
Edited by: Levan Fruidze

მხატვარი: მარიკა გონგლაძე  
Artist: Marika Gongaladzee

რეცენზენტები: როზეტა გუჯეჯიანი  
ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

Reviewers: Rozeta Gujejiani  
Nana Khocholava-Machavariani

დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე  
Page make-up: Nika Khvedelidze

© გივი ჩიღვინაძე — ქართული ხალხური დღეობა-დღესასწაულები  
და წეს-ჩვეულებები

Givi Chighvinadze – Traditional Georgian folk holidays

© „საუნჯე“, გამომცემელი ვაჟა წოწყოლაური  
SAUNJE Publishing House, Vazha Tsotskolauri

ISBN 978-9941-451-33-1



თბილისი, 2014

შიგნით გამოიცა საქართველოს კულტურისა და  
მემკიდრეობის სამინისტროს მხარდაჭერით.

## ძველი ქართული ყოფის სურათები

წიგნში წარმოდგენილია უმნიშვნელოვანესი ნაწილი ქართული ხალხური დღეობა-დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც ოდითგან წყობოდა ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ერის წარსული წარმოუდგენელია ამ მშვენიერი რიტუალების გარეშე. მათი გაცნობით გასაგები ხდება, რით სულდგმულობდა ხალხი, როგორ ცხოვრობდა და ერთობოდა. ამ დღესასწაულებში უმეტესად ბავშვები და ახალგაზრდები მონაწილეობდნენ და ამიტომ ეს ძველი ქართული ყოფის სურათები საინტერესოა ჩვენი მომავალი თაობისათვის.

ეს დღეობები და დღესასწაულები ჩვენი თვითმყოფადი კულტურის საფუძველია. მათი ნაწილი ქრისტიანული დღესასწაულების თანამდევია: ალილო შობის მისალოცი ჩვეულებაა, ჭონა — აღდგომისა, ლაპტრობა — მირქმისა, სხვებიც დათისადმი ლოცვა-ვედრებითაა გაჯერებული.

აქ წარმოდგენილი რიტუალები, ხალხური ლექსები და წეს-ჩვეულებები ერის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომლის დაცვის კონკრეტია იუნესკომ მიიღო და მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით ითვალისწინებს ამ მემკვიდრეობის დაცვას, კვლევას, შენახვას, აღორძინებას და პოპულარიზაციას.

ეს კრებული გააცნობს ჩვენს ბავშვებს ძველი ქართული ყოფის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს — იმ დღეობა-დღესასწაულებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც უფრო მეტად აღამაზებდნენ და ამრავალფეროვნებდნენ ჩვენი წინაპრების ცხოვრებას. ისინი იმდენად მიმზიდველი წარმოდგენებით ეწყობოდა, რომ მათი დავიწყება არ შეიძლება. პირიქით, უნდა შევისწავლოთ, აღვადგინოთ და გამოვიყენოთ ჩვენი პატარების აღზრდაში.

# სატჩივი

ალილო	5
ახალი წელი	7
აგუნა	16
მოსლობა	18
ლამპრობა	20
ჩიცითათვობა	22
ძლობა	24
შეტიკაობა	26
მურყმამობა (კოშკობა)	30
ყენობა	33
ჭიათუონობა	34
ჭონა	36
ყვავილთა ღღესასწაული	38
ნაღი	39
გონჯაობა-ლაპარობა	44
შეამთობა	47
ტოველი	49
კითილი მაცონები	54
ოჩეარი	57
ლექსიკონი	59
გამოყენებული ლიცერაციება	63

## ალილო

ალილო შობის დღესასწაულის წინ, 24 დეკემბრის საღამოს იმართებოდა. იგი ქრისტეშობის მისალოცი ჩვეულებაა, ქრისტიანული წარმოშობისაა მისი ლექს-სიმღერებიც, თუმცა საფუძვლად თურმე მხისადმი მიძღვნილი უძველესი ქართული დღესასწაული უდევს.

ალილოზე სოფლის ახალგაზრდობა — ჭაბუკები და ბავშვები — შეიკრიბებოდნენ, ჩამოივლიდნენ დათოვლილ სოფელს და ყველა ოჯახს ულოცავდნენ ქრისტეშობას. თან ასეთ სიმღერას მღეროდნენ.

ოცდახუთსა და ამ თვესაო,  
ქრისტე დაბადებულაო,  
შობის მაღლი შეგეწიოთ,  
ქრისტე განათლებულაო...  
ღმერთმა ისე აგაშენოთ,  
როგორც შოთ მარანია,  
პური, ღვინო ბევრი მოგცეთ,  
საწველელი მრავალია.



კახეთში ასეთი ლექსი იმღერებოდა:

ოცდახუთსა ამ თვესა ქრისტე დაბადებულა,  
მადლი მახარობელსა, ქვეყნის გამხარებელსა.  
სახლო, ღმერთმა აგაშენოს, მხიარულად დაგაშვენოსო.

მესხეთში სხვანაირად მღეროდნენ:

ოცდახუთსა ამ თვესაო, ქათამი ქექდა ბზესაო,  
დედი, ერთი კვერცხი მომე, შენი შვილების მზესაო.

მეალილოები ყველა ჭიშკართან ჩერდებოდნენ, შევიდოდნენ თოვლით გადათეთრებულ ქზოში, სიმღერით ულოცავდნენ ოჯახს შობის დადგომას და თან მადლიერი მასპინძლებისაგან საჩუქრებს იღებდნენ — მწვადებს, ქათმებს, კვერცხებს, ღვინოს, ტკბილეულს, ხილს, ჩურჩხელებს და სხვა სანოვაგეს. ერთ მონაწილეს ეკიდა გუდა ან ეჭირა ჩანთები, რომლებშიც სანოვაგეს აგროვებდნენ, ჰყავდათ უფროსიც, იგი ხელმძღვანელობდა ამ სამხიარულო მსვლელობას.

ალილო საქართველოს თითქმის ყველა მხარეში იმართებოდა, განთქმულნი იყვნენ თურმე იმერელი მგალობლები. ისინი ასე მღეროდნენ:

ოცდახუთსა ამ თვესაო ქრისტე დაბადებულა, ალილო!  
მოლხენა თქვენს ოჯახშია, სიმთელე და დღვეგრძელობა!  
არწვედნენ და არწვედნენ აკვანსა მეუფისასა, ალილო!..  
ნუ იხარებს მტერი თქვენი, ნურც არა გაუხარიაო!..

სხვადასხვა მხარეში ალილო განსხვავებული წესითა და სიმღერებით სრულდებოდა. მეალილოებს დიდად აფასებდნენ, მათ ყველა ოჯახი სიხარულით ხვდებოდა. შობაზე კაცი რომ მოვა და გიმღერებს, ეს იგივეა დიდი ძღვენი მიუტანო ოჯახსო, — ამბობდნენ სამეგრელოში. სვანეთში ამ დროს ერთი ოჯახი მასპინძლობდა მთელ სოფელს, — ეს ლასკარობა იყო, ლოცვა და ნადიმი ქრისტეს პატივსაცემად. აქვე მღეროდნენ საშობაო სიმღერებსაც. თუშეთში მეალილოებს გამოუტანდნენ ალილოს ორ კოტორს (კვერს) არაყოთან ერთად. რაჭაში ალილოზე ასეთი ლექსი იმღერებოდა:

ალილო, ალილო, ალილოოო,  
ყველას ღმერთმა გაგითენოთ შობა ახალ-წელიწადი.  
მთას ურემი გავსილიყო, წამოვიდა გორებითა, —  
შენი ბეღელი აიგსოს პურითა და ქონებითა!  
ამოვახვიე გვრიჭები, დაგეზრდებიან ბიჭები.  
არიელსა — მარიელსა, ნუ გაგვიშვებ ცარიელსა.  
ჩვენ ხომ თხოვრები არა ვართ, ვართ ქრისტეს მახარობლები.  
გამოგვიტანეთ კვერცხები, სიცივებ დაგვძრა ფეხები.  
ი მგელი მიტომ მოვკალი, თხა შევვიჭამა ნისლაო,  
მასპინძელო, გამოგვხდე, სხვაგანაც გვინდა მისვლაო.

მოივლილნენ მეალილოები სოფელს, ბოლოს ერთ ოჯახს მიადგებოდნენ, დაიფერთხავდნენ თოვლიან ქურქებს და შევიდოდნენ შინ, თბილ კერასთან. იქ ინახავდნენ შეგროვებულ სანოვაგეს. მეორე დღეს იესო ქრისტეს შობის დღესასწაულს ყველა თავის ოჯახში ხვდებოდა, საღამოს კი შეიკრიბებოდნენ და მასპინძელთან ერთად ნადიმობდნენ, ზოგჯერ კი იმავე ღამეს იწყებდნენ ლხინს.


ამ ჩვეულებამ ჩვენს დრომდეც მოაღწია და ახლაც იმართება ხოლმე.

# ახალი წელი

საქართველოში ახალ წელს ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდნენ. იანვარში ახალი წლის აღნიშვნა მეტაც საუკუნიდან დაუწყიათ. მანამდე კი ოქტომბერში, ხანაც გაზაფხულზე აღინიშნებოდა.

მეფის კარზე პირველ იანვარს, ცისკრის ლოცვამდე მეფესა და დედოფალს ჯვრით, ხატითა და სამკაულით მიუღლოცავდა ჭყონდიდელი — პირველი ვეზირი. წირვის შემდეგ ულოცავდნენ ერისთავები და დიდებულები. მათ შორის ბაზიერთუხუცესი — ქორ-შევარდენით, მეჯინიბეთუხუცესი — შეკაზმული ცხენით და ასე შემდეგ. ერისთავები მიღლოცვის დროს ერთ ისარსაც მიიტანდნენ და მეფეს ასე მიმართავდნენ:

— მრავალუამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალ წელს და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა!..





შემდეგ დიდი ლხინი ეწყობოდა. მეორე დღეს კი ნადირობა გაიმართებოდა.

ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში ახალ წელს ყველგან დიდი სიხარულით ეგებებოდნენ, თუმცა სხვადასხვა კუთხეში ოდნავ განსხვავებული ჩვეულებებიც არსებობდა.

**ქართლში** ახალი წლის გათხნებამდე ოჯახის უფროსი ხონჩაზე დააწყობდა მოხარშულ დედალს, ღორის თავს, ბედის კვერებს, ბასილას, თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს, ჩურჩხელას, გოზინაეს და საღვინით ღვინოს. გათენებისას იგი ხონჩას გარეთ გაიტანდა, სახლს ლოცვით სამჯერ შემოუვლიდა. შინ შებრუნებისას მუგუზლით ცეცხლს შეუწუჩხურებდა და ნაპერწკლების აცვენისას წარმოთქვამდა:

— ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი...

შემდეგ ოჯახის ყველა წევრს თაფლიანი ლუკმით „დაბერებდა“. ამ ხონჩას ქართლში სამ დღეს ინახავდნენ, შემდეგ ბასილას გულიდან ჯვარს ამოჭრიდნენ, ფქვილიან გოდორში ჩააგდებდნენ და თან იტყოდნენ:

— ბარაქა ამ გოდორსაო!

აქვე ასე ილოცებოდნენ:

ღმერთმა ყველა ააშენოს ამ ოჯახის მასპინძელი,  
პური, ღვინო ბევრი მისცეს და სიმინდი ძველისძველი,  
ეს სახლი ღმერთმა აკურთხოს, გაუმაგრდეს საფუძველი,  
ახალწელიწადს დაუსწროს, გაისტუმროს ესე ძველი.

ბოსელში შესვლისას ახალ წელს საქონელსაც მიულოცავდნენ.

კახეთში მეკვლეს სახლში შემოსვლისას ხორბალს ან სიმინდს გადაუყრიდნენ — ბევრი მაძღარი კრუხ-წიწილა გვეყოლებაო. აქვე ასეთი მესტვირული საახალწლო სიმღერა ისმოდა:

ხელში ორ ჭიქას ავიღებ, ვილოცებოდე ღვინითა,  
ყველა კარგად დაესწარით მრავალ ახალწელს დილითა,  
ნათლიმამა თან მოგდვდეს, თაფლი მოქონდეს ქილითა;  
ხურჯინიც სავსე ეკიდოს, ჩურჩხელებით და ხილითა...  
თქვენი კოდები ყოფილა სავსე და — წმინდა ფქვილითა;  
თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე და — წითელ ღვინითა;  
თქვენი ფარები ყოფილა სავსე და — ცხვრითა, ბინითა...  
თქვენი მტერი წაქცეულა, კედარა ძღება ძილითა...

იმერეთში საახალწლოდ რამდენიმე ჩიჩილაკი შზადდებოდა. ერთ-ერთი მარნისთვის იყო განკუთვნილი. ახალი წლის დილას შინაური მეკვლე წყაროდან წყალს მოიტანდა. ოჯახის წევრები პირს დაიბანდნენ და ისევ მეკვლის წინამდღოლობით მარნისკენ წავიდოდნენ. მიჰქონდათ პურ-მარილით სავსე გობი, ორშიმო და ჩიჩილაკი. მეკვლე ჩიჩილაკს საახალწლო ჭურის გვერდით დაასობდა. მარანს ახალწელს მიულოცავდა, შემდეგ საახალწლო ჭურს მოხდიდა, ღვინოს გასინჯავდნენ და ღოქებს ააგსებდნენ.

სამერულოში ყველაზე დიდ დღესასწაულად კალანდა — ახალი წელი ითვლებოდა. შინ გამოსახენ ადგილას დადგამდნენ ბროწეულით, ხილით, ტკბილეულით, ძვირფასი ნივთებით, აბრეშუმის ძაფით, სუროსა და დაფნის ტოტებით მორთულ ჩიჩილაკს. აცხობდნენ ბასილას და ღვეზელს, რომელშიც კვერცხის გულს დებდნენ. დილით ადრე სოფელში თოფის სროლა ატყდებოდა. ოჯახის უფროსი სანოვაგით სავსე ხონჩას აიღებდა, სახლს ლოცვით სამჯერ შემოუკლიდა, ღომის მარცვლებს აბნევდა და ღმერთს გამრავლებას, ჯანმრთელობასა და კარგ მოსავალს სთხოვდა. შემდეგ შინ შევიდოდა და ყველას მიულოცავდა.

აქვე ახალ წელს სტუმრის მოტაცება იცოდნენ. ამ ჩვეულებაში მთელი უბანი მონაწილეობდა. გაიმართებოდა მხიარული გაწევ-გამოწევა, სიცილი და ხუმრობა. მოტაცებულ სტუმარს ასაჩუქრებდნენ, პატივს სცემდნენ და მეორე დღემდე არ გაუშვებდნენ.

ახალი წლის საღამოს ეწყობოდა „ტყაპობა“ — ახალგაზრდა ქალები და ვაჟები ერთმანეთს სიმინდის ცომით თხუპნიდნენ. ამ მხიარულ შეჯიბრებაში ვინც მოუთხუპნავი გადარჩებოდა, იმ წელიწადს გამარჯვებული და ბედნიერი იქნებოდა.

აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსაც მეტწილად ასეთივე წესები ჰქონდათ.

გურიაში ახალ წელს კალანდას ეძახიან. წინადღით მოჰქონდათ „ცხემლის“ (რცხილის) შემა, რომელსაც თხილის ჯოხებსაც მოაყოლებდნენ ჩიჩილაკისთვის. ამ ჯოხებს ღადარში აცხელებდნენ და კარგად აღესილი დანით ისე თლიდნენ, რომ ბურბუშელა ჯოხევე რჩებოდა და ქვეოდა. შემდეგ ჯვრიან დასადგმელს უკეთებდნენ, წვერში ჯვარედინად თხილის

ჯოხებს ჩაურჭობდნენ და ოთავდნენ სუროს ტოტებით, ვაშლებით, საჩიჩილაკე ხაჭაპურებით, ტკბილეულითა და ვერცხლის ფულებით. აქვე ასეთი წესიც სრულდებოდა: ოთხ ხაჭაპურს გიდელში ჩააწყობდნენ და გოგონას გაატანდნენ მარანში. იქიდან ვაჟი უნდა გამოსულიყო ღვინისანი დოქით და გოგონას შეხვედროდა. მათ შორის მოჩვენებითი ბრძოლა გაიმართებოდა დოქისა თუ ხაჭაპურის წასართმევად და მარანში შესატანად. თუ ბიჭი იმარჯვებდა, მაშინ ღვინისა და პურის უხვი მოსავალი იყო მოსალოდნელი, ხოლო თუ გოგო იყოჩაღებდა, აბრეშუმის უხვი მოსავალი იქნებოდა.

**აჭარაში** ახალგაზრდები თითქმის გათენებამდე დადიოდნენ სოფელში და ყველა ოჯახს ახალი წლის დადგომას ქრისტიანული სიმღერით ულოცავდნენ:

შემოუდგი ფეხი, გილოცავთ,  
გწყალობდეთ წმინდა ბასილი,  
იმისი მადლით იყავით  
პურით და ღვინით ავსილი.

მასპინძლები საჩუქრებს აძლევდნენ მომლოცველებს.



**სამცხეში** მეკვლე სახლში შესვლის დროს ასეთ ლექსს წარმოთქვამდა:

ახალ წელიწადს, წლის თავსა გიკვლევ ვაზისა რქითამცა,  
შენიძეა სახლი ავსილა ტყავგაბაზარბაბითამცა;  
ცხენზედაც შაგისხდებიან მშვილდისრიანნი, ხმლითამცა,  
კარზედამც მოგადგებიან ცხენჯორამაფრაშითამცა;  
ტახტზედამც დაგიდგებიან თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,  
მტერი სულ დაგიბრძავდების ეშმაკი ხმალით-ცითამცა,  
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალგ ზითამცა;  
პურ-ღვინო ღაულეველი, ვით მონადირე წყლითამცა;  
სიცოცხლე გახარებული, მოუწყინარი დღითამცა;  
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას, ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,  
უხვადაც მოგეცემოდეთ თვალ-მარგალიტი ზღვითამცა.

**ჯავახეთში** 31 დეკემბერს შზის ჩასვლისას ოჯახის უფროსი მამაკაცი ხელში რკინის ჯოზით სახლს სამჯერ შემოუვლიდა, თან ფუძის ანგელოზს სთხოვდა, მისი ოჯახი ეშმაკის გზიდან აეცდინა. გათენებისას საახალწლო ტაბლას აიღებდა, თავის ეზოს შემოუვლიდა, სახლის ბანზე ავიდოდა და მასაც გარს შემოუვლიდა ასეთი ლოცვით:

— ერდოსა შინა შემოვდგი ფქნი, ჩემო ცოლ-შვილო, გწყალობდეთ ღმერთი!

**რაჭუში** ახალი წლის წინა საღამოს ოჯახის უფროსი „სამკლოვიარო გვერგს“ აკეთებდა. ამისთვის ცხრა ვაზს თითო რქას შეაჭრიდა, მათ ერთმანეთს შეაგრძედა და შუაში ჯვრად თხილის დაჩიჩილაკებულ ჯოზებს ჩაუყენებდა. ამ ჯოზებს გარეთ გამოშვერილ წვეროებზე გაშლებს წამოაცვამდნენ, ბაძგის მწვანე ტოტებით მორთავდნენ და ზედ საახალწლო განატებს დაადებდნენ.

ახალი წლის დილით შინაური მეკვლე შინ შემოვიდოდა, ღომის მარცვლებს მოაბნევდა იატაკზე, ოჯახის წევრებს ახალ წელს მიულოცავდა, სამჯერ შემოუვლიდა კერას სამკლოვიარო გვერგვზე დადებული სანოვაგით, რომელსაც ყველა ქებოდა ხელით. შემდეგ გვერგვს საფუარზე დადებდა, მუგუზალს შეუჩეჩხურებდა ცეცხლში და ამბობდა:

— ამდენი ვაჟი, ამდენი ხარი, ამდენი გოჭი, ამდენი ქათამი...

საახალწლო სუფრას ამშენებდა ბასილა — სარიტუალო პური შზის, მთვარის, ხორბლის, ღვინის, სიმინდის გამოსახულებით, ხაჭაპურები, ღორის თავი და სხვა, სუფრა მორთული იყო თხილის კუკურებით და ჭყორის მწვანე ფოთლებით.

**ლეჩხუში** ახალ წელს, ნაშუადღევს, ოჯახის უფროსი მამაკაცი ზურგზე მოიკიდებდა მეორე მამაკაცს და ვენახისკენ გასწევდა. თან მიკეონდა ტაბლა, რომელზედაც წყვი ღვინიანი ჭიქა, ღორის შემწვარი ხორცი, ანთებული სანთელი და ხორბლის ერთ-ერთი ჯიშის — ზანდურის თავთავების კონა. ვენახში შესვლისას იგი იძახდა:

— ღუზ, ღუზ, ღუზ...

ამის შემდეგ კაცს ჩამოსვამდა, თავთავების კონას სარზე ჩამოაცვამდა, ტაბლას წალმა შეატრიალებდა, მერე ღვინით დაილოცებოდნენ და მიტანილ სანოვაგეს შექცეოდნენ.

**სვანეთში** ახალ წელს ოჯახის უფროსი კაცი, ერთი ქალი და ერთი ბავშვი სისხამ დილაზე ჩუმად ადგებოდნენ, სანოვაგით სავსე გიდელს წაიღებდნენ, ყველაზე გამორჩეულ ხარს წაიყვანდნენ და წყალს დაალევინებდნენ, უკან დაბრუნებისას თან წყალი მოჰქონდათ. კალოზე თოვლის ზეინს დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩაურჭობდნენ, გარს შემოუვლიდნენ და მერე სახლში შედიოდნენ. კაცი იძახდა:

— კარი გამიღეთ, ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს!..

შევიდოდა სახლში, ხარსაც შეიყვანდა, სამჯერ კერას შემოუვლიდა, შემდეგ აიღებდა ხელში ბედის პურს, რომელზედაც ელაგა თაფლი, ხორცი, ყველი, ულე და ყველას მიულოცავდა ახალ წელს.



**ხევსურეთში** ახალ წელს „წელწადს“ ეძახიან. ოჯახის მეკვლები ხატებში ათენებდნენ ახალწლის ღამეს, გათენებისას ხუცესი გარეთ გავიდოდა, შემოიტანდა თოვლის, მეკვლებს გადააყრიდა და დალოცავდა:

— ესრ თეთრად აყვავდით! წელიმც კაისა გამოგეცვლებისთ, პურიან-წულიანი, სახელ-სარგებლიანი, მშვიდობისა და კარგად ყოფნისა!..

შემდეგ ზარს დარეკავდა, ლუდს შეასმევდა ყველა მეკვლეს და ოჯახებში გაისტუმრებდა. წასვლის წინ მეკვლები მღეროდნენ:

გამოგვეცვალა, სწორებო,  
დაგვიდგა ახალ-წელია,  
დაგლოცნათ ჯვარმა კველანი,  
არ მაგერიოსთ მტერია!

დაბრუნებული მეკვლე სახლში სამეკვლეო კვერს შეაგორებდა სამჯერ და ილოცებოდა:

— ჩემიმც კვალ კაზე დაგიჯდებისთ! პურიანი, წულიანი, სახელ-სარგებლიანი, ერთი ეს წელი, ათიათას სხვაი, კარგად ყოფისა, კაცისა და საქონისაი!..

**მთიულეთში**, ისე როგორც ხევსურეთში, ოჯახის მეკვლები ხატში ათენებდნენ. შინ მობრუნებულებს ერბო-თაფლიან ჯამს კარში მიაწოდებდნენ. მეკვლე ჯამში პურს ამოაწებდა და შეჭამდა. მერე ცომით ჯვარს გამოსახვდა კარის ბჭეზე და ღმერთს ოჯახის წვერთა და საქონლის გამრავლებას და კარგად ყოფნას შესთხოვდა. შინ შესვლისას კი ილოცებოდა:

— შემოვდგი ფქი, გწყალობდეთ ღმერთი, ფქი ჩემი, კვალი ანგელოზისაო, — თან თოვლს შემოყრიდა, — ასე თეთრად დამიბერდიოთ. მერე ყველას თაფლიანი ლუკმით „დააბერებდა“. ბოლოს ბედის კვერს გააგორებდა დაბლა, ბებერას — გრძელ შეშას — მუხის გამხმარ ტოტებს სცემდა და ამბობდა: ამდენი ცხვარი, ძროხა, ხარიო...

**ფჟაგში** ხატის ხევისბერი დროშით მიუძღოდა დასტურებს. მიემართებოდნენ მეორე ხატისათვის ახალი წლის მისალოცად. ხატებისკენ მიიჩქაროდა ხალხიც, რომ ახალი წლის მიგებებაში მიეღო მონაწილეობა. იქვე იკვლებოდა საკლავები, მრავლად იყო მიტანილი ქადები, კვერები, ხმიადები და არაყი. გაშლიდნენ სუფრებს და გაიმართებოდა პურობა. ხევისბერები ცალკე ისხდნენ ხატის დროშებით. ბოლოს ისინი ლუდიან თასებს აიღებდნენ და დალოცავდნენ ხალხსა და ხატებს. შინ დაბრუნებული მლოცველები ერთმანეთს იწვევდნენ მეკვლებად და აგრძელებდნენ სახალწლო ლხინს.

**ერწო-თიანეთში** ახალწლის წინა საღამოს ბუხართან ნაცარს დაყრიდნენ, დილით მასზე ქრისტეს ცხენის ნაკვალევი რომ ენახათ. დილით შინიდან გასული მოხუცი კაცი თაფლიან ლუკმას წყლის პირას ქაზე დადებდა ამ სიტყვებით: დაუდალავო წყალოო, საკვლევი მოგიტანეო. შინ შეკრებილი ახალგაზრდები სუფრაზე დადებულ ღორის მოხარშულ თავს ხანჯლებით „კეჭნავდნენ“. კერაზე დადებულ შეშაზე, რომელსაც ბებერას ეძახდნენ, ბავშვს დასვამდნენ. ხელში ხმიადზე დალაგებულ ბამბას, ყველსა და ერბოს მისცემდნენ. ბიჭი მთელ სახლობას დალოცავდა — მშვიდობას, გამრავლებასა და დოვლათს უსურვებდა.

**თუშეთში** ახალი წლის დილას წყაროზე უმძრახად წასული ქალიშვილი სამჯერ ავსებულ ჭურჭელს სამჯერვე დაღვრიდა და თან იტყოდა:

— ჩვენი ყანა მაძღარი, დიდოს ყანა დამპალიო!

საახალწლოდ აქ არაყსა და ლუდს ამზადებდნენ. აცხობდნენ კვერს „ქრისტეს საგძალს“, ფუძის ანგელოზის კვერს და აღამიანის მსგავს პატარა კვერებს — „ბაცუკაკებს“. მეკვლეს მოპქონდა პურზე დალაგებული ერბო, ყველი, ტკბილეული და არაყი. თან ასე ლოცავდა ოჯახს:

— შემოვდგი ფქი, გწყალობდეთ ღმერთი, ფქი ჩემი, კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი, ერთი ესე, ათასი სხვა, გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!..



**ხევში** ახალწელიწადს დილაადრიან ადგებოდა ოჯახის უფროსი. საკვლევი პურით გარეთ გასული დაილოცებოდა, შინ შესვლისას გატებდა საკვლევ პურს და ყველას შეაჭმევდა. შემდეგ საახალწლოდ გამზადებული შემა — ბებერა შემოჰქონდათ, ცეცხლს ანთებდნენ და ამბობდნენ:

— ბებერა მობრძანდაო!

— რასა ბრძანებს?

— თქვენს მშვიდობას, თქვენს გამრავლებას, თქვენს სიხარულს...

შემდეგ პურით და ტკბილეულით ხელდამშვენებული გარეშე მეკვლე მოდიოდა, შინ და ბოსელში ხორბალს გადააბნევდა — ამდენი წულადი და საქონელი შეგემატოთ. მას სუფრაზე დასვამდნენ სანადიმოდ, წასვლისას კი ფულითა და ტკბილეულით ასაჩუქრებდნენ.

**აღმოსავლეთ ჰერეთში (საინგილოში)** დილით გარედან შემოსული ოჯახის უფროსი მიულოცავდა ყველას. მერე ულოცავდნენ ვენახს, სადაც მამალს კლავდნენ. ბავშვები ულოცავდნენ საქონელს და მათთვის გამომცხვარ კვერებს აჭმევდნენ. ხოლო ახალი წლის ღამით ოჯახის უფროსი ქალი დაართავდა ბამბის ძაფს. მერე ოჯახის უფროსთან ერთად ჩამოუკლიდა მძინარე სახლობას და ახლად დართულ ძაფს დიდსა და პატარას ჩუმად მკლავებზე შემოახვევდა. ბოლოს იგივე ძაფს შემოახვევდნენ დედაბომსა და სახლში მდგარ ყველა ჭურჭელს. ამ ჩვეულებით ინგილო ცდილობდა, რომ ერთარსება ღმერთს ოჯახის ყოველი წევრი და მთელი მათი ქონება ერთიანად, დაუზიანებლად და დაურღვევლად შეენახა. ძაფის რგოლი მაჯით სამი დღე უნდა ეტარებინათ.

**ლაზეთშიც** იანვარში დღესასწაულობდნენ ახალ წელს — წინაღანს. ახალი წლის დილას ახალ ტანსაცმელში — თეთრ კაბებში გამოწყობილი ლამაზად მორთული გოგონები მიდიოდნენ მეზობლების ოჯახებში და ულოცავდნენ ახალ წელს. დიასახლისი მათ ტკბილეულით უმასპინძლდებოდა. ყველა ლაზი ცდილობდა, ამ დღეს რაიმე ახალი შეეტანა შინ. ახალი წლის დილით სახლში ხბოს ან თხას შეიყვანდნენ და დაბლა ღომის მარცვალს მოაბნევდნენ, — ასე გავმრავლდეთო.

**ტაო-კლარჯეთში** ახალი წლის დილას კაცები ბოსლიდან კრავს შეიყვანდნენ სახლში. ბავშვები ადრე ადგებოდნენ და ახალ წელიწადს ულოცავდნენ მეზობლებს, რომლებიც მათ უხვად უმასპინძლდებოდნენ ჩირით, წაბლითა და სხვა ხილით.



# აგუნა

გურიაში ახალი წლის საღამოს, მოღამებულზე აგუნას გადაძახებაზე მარანში მიღიოდნენ. ეს მევენახეობა-მეღვინეობის ღვთაების, აგუნას პატივსაცემი საახალწლო ჩვეულება იყო. ამ რიტუალისთვის აცხობდნენ ვაზის რქისა და მტევნის ფორმის კვერებს, რომლებსაც „აგუნას პურს“ ეძახდნენ. ოჯახის უფროსი წინ მიღიოდა სანოვაგით სავსე გობითა და ანთებული სანთლებით. გობს მარანში სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და ღმერთს ვენახის მსხმოიარებასა და ღვინის უხვ მოსავალს სთხოვდა. მერე საწნახელზე ღვინოს გადაავლებდნენ და არახუნებდნენ ღორის თავით, თოხის, ცულის ყუით, ჩაქუჩით — რაც ხელში მოხვდებოდათ. ერთი მამაკაცი ზურგზე პატარა ბიჭს შემოისვამდა, მარანში გაბარდულ ვაზს ხელს მოჰკიდებდა და იწყებოდა აგუნას გადაძახება:

აგუნა, აგუნა, გადმოიარე,  
ბახვი, ასკანა გადმოიარე!  
ჩვენს მამულში კურძენიო,  
მტრის მამულში ფურცელიო,  
ჩვენს მამულში გოდორ-გოდორ,  
მტრის მამულში კიმპალ-კიმპალ...  
ჰო, ჰო, ჰო, იო...

თან ბანები აპყვებოდნენ, საწნახელზე რახუნს სიმღერის რიტმს ააყოლებდნენ, მერე ყველანი დაიძახებდნენ:

— აგუნა, უუუ!!!

გადაძახება ყველა მარანში იწყებოდა, ერთგან რომ ჩაათვებდნენ სიმღერას, მეორეში გაგრძელდებოდა. აგუნას გადაძახების ხმები მთელ უბანში, მთელ სოფელში, მთელ გურიაში გაისმოდა. მერე უბნის მამაკაცები შეიკრიბებოდნენ, სანოვაგით სავსე გობებს დაიჭერდნენ, მეზობლებს მარნებში ჩამოუვლიდნენ, ულოცავდნენ და ერთად გაიძახოდნენ:

— აგუნა, აგუნა, უუუ!!!

— აგუნა, უუუ!!!

აგუნას გადაძახება ყველა ოჯახში ხდებოდა. ბოლოს ოცამდე კაცი ერთ ოჯახში შეიკრიბებოდა და ისევ გაგრძელდებოდა საკალანდო ლხინი.

აგუნა — მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ხალხური ჩვეულების რიტუალი — სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩუმშიც სრულდებოდა. სამეგრელოში მას ჯუჯელიას ეძახდნენ, რაჭა-ლეჩუმში — ანგურას.

სამეგრელოშიც ულოცავდნენ მარანს, საწნახელს ჯოხებს ურახუნებდნენ და მღეროდნენ:

ჩემი ვაზი მტევნიანი,  
სხვისი მხოლოდ ფოთლიანიო...

ლეჩუმში ახალწლის დილით ოჯახის უფროსი კაცი ადრე ადგებოდა, ვენახში ჩაუიდოდა და იქ ხმამაღლა დაიძახებდა:

აგუნამ ჩამოიარა იღითა და მიღითა,  
ჩვენი ჭურები აავსო ტკბილითა და ღვინითა...  
ჩვენი მამული ჩაიარა, წვივი მეიტება,  
ღვინის ღვარი დააყენა, ისხა, ისხა, ისხა,  
გამოღმა კურძენი, გაღმა ფურცელი...

აგუნას გადაძახებას ზოგჯერ ნათლისღებას ასრულებდნენ.



# მოსლობა

დასავლეთ საქართველოს მხარეებში ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება ბოსელისადმი მიძღვნილი ხალხური დღეობა — ბოსლობა იმართებოდა. ამ დროს ღმერთს სთხოვდნენ საქონლისა და შინაური ფრინველის გამრავლებას, მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის გადიდებას, ყანა-ვენახების დაცვას უამინდობისა და მავნებლებისაგან. ბოსლობა უმეტესად ყველიერის წინა შაბათს ეწყობოდა, იანვარსა ან თებერვალში.

ამ დროს აცხობდნენ სართვიან პურებს, ლობიანებს, ჯვრიან განატებს, რომელზედაც სანთელს ანთებდნენ. ზოგ კუთხეში განატებზე ზევიდან ცომისგანვე გამზადებულ უღელსა და ტაბიკებს ადგამდნენ. ოჯახის წევრი მამაკაცებისათვის აცხობდნენ აგრეთვე კვერებს. ზოგჯერ გოჭს და კლავჭენენ, რომელსაც საბოსლებოს ეძახდნენ.

რაჭაში შედამებისას ოჯახის უფროსი ოთხიდან ცხრა წლამდე ბავშვებს შეისხამდა ზურგზე, კისერზე, ზოგს ხელში აიყვანდა და შედიოდა ბოსელში. ზოგჯერ ბიჭები თვითონ შეასხდებოდნენ ერთმანეთს ზურგზე, საქონლის ხმაზე ბლაოდნენ და იძახდნენ:

— ბოსელ, ბოსელ, ბუ! ბოსელ, ბოსელ, ბუ! ბოსელ, ბოსელ, ბუ!

თან მიჰქონდათ კვერები, პური, ღორის ხორცი, ღვინო და კვერცხები. შევიდოდნენ ბოსელში, ღაბმულ პირუტყვს სამჯერ შემოუვლიდნენ, ხარების ზურგზე კვერცხს გადააგორებდნენ და იტყოდნენ:

— დათვი მჭლე და შენ მსუქანი, გაზაფხულზე გასუქდიო!

მთავარი ღორცვა ტარდებოდა გამორჩეულ ხართან. ადღეგრძელებდნენ ღმერთს, მთელ სახლობას და საქონელს. იქვე შეეცეოდნენ სანოვაგეს და თან ღორცულობდნენ:

— ანგელოზო საქონლისაო, შენ ამრავლე და დაიფარე ნადირისაგან ჩვენი საქონელიო!..

შემდეგ თვალებს ხუჭავდნენ და ოჯახის უფროსი მალავდა კვერცხებს ბაგაში, დილით მათ ბავშვები მოძებნიდნენ. ამბობდნენ, კვერცხს ვინც იპოვის, ის ბელნიერი იქნებაო.

ბოსლიდან გამობრუნებისას პირველად სახლის კარს მიადგებოდნენ, რომელსაც დიასახლისი შიგნიდან ჩაკეტავდა. მამასახლისი სამჯერ იტყოდა:

— კარი რკინისაო! კარი რკინისაო! კარი რკინისაო!

დიასახლისი უპასუხებდა:

— არა, მეუფისაო!

შემდეგ გაიმართებოდა ასეთი კითხვა-პასუხი:

დიასახლისი: — ხარებმა რა შამოთვალეს?

მამასახლისი: — სახველი და უღელი დაგვიმზადეთო.

დიასახლისი: — ძროხებმა რა შამოთვალეს?

მამასახლისი: — საბორე დაამზადეთო.

დიასახლისი: — ცხენებმა რა შამოთვალეს?

მამასახლისი: — საჯინიბო დაგვიმზადეთო.

დიასახლისი: — ცხვრებმა რა შამოთვალეს?

მამასახლისი: — საცხვრე დაგვიმზადეთო.

დიასახლისი: — თხებმა რა შამოთვალეს?

მამასახლისი: — სათიქნე დაგვიმზადეთო.

დიასახლისი: — ღორებმა რა შამოთვალეს?

მამასახლისი: — თოფ-იარაღი დაგვიმზადეთო.

დიასახლისი: — ქალებმა რა შამოთვალეს?

მამასახლისი: — აკვნები დაგვიმზადეთო.

დიასახლისი: — ყანებმა რა შამოთვალეს?  
მამასახლისი: — ბეღლები დაგვიმზადეთო.  
დიასახლისი: — ქამებმა რა შამოთვალეს?  
მამასახლისი: — საწიწილე დაგვიმზადეთო.

შემდეგ კარს აღებდნენ და დიასახლისი მამასახლისს სახეზე აზელილ ქატოს მიაყრიდა, რომ ოჯახს მოარული, ავი სული არ შევყაროსო. დასასრულ, ვახშობდნენ. სუფრასთან დასხდომის წინ მამაკაცი მიდოდა ხატთან და ღმერთს ავედრებდა სახლსა და ყანებს.

იმერეთში ბოსელში მიმავალ კაცებს ბავშვები ჰყავდათ ზურგზე მოკიდებული, საქონელს ქონის ნაჭერს უსვამდნენ — ასე გასუქდიო. სამეგრელოში ბოსლობას უფრო დიდმარხეამდე 17 დღით ადრე დღესასწაულობდნენ. გურიაში ამ დროს დიდ საოჯახო მჭადს აცხობდნენ, რომელშიც ღორის ქონის ნაჭრები იყო ჩართული. სვანეთში კი კუბდიანები ცხვებოდა, რომლებსაც თივიან გოდორში აწყობდნენ. მათ კაცი სამჯერ გადმოყრიდა, ბავშვები კი უკანვე აბრუნებდნენ.

ღვთაება ბოსელს ქრისტიანულ ხანაში ზოგჯერ წმიდა ბასილთან აიგივებდნენ.



# ლამპრობა

თებერვლის თვეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადრესაგაზაფხულო დღესასწაული ლამპრობა იმართებოდა. მისი მიზანი მოსავლიანობის, საქონლის, ადამიანის გამრავლება და კარგი ამინდის დადგომა იყო. ზოგი თვალსაზრისით, ლამპრობა ქრისტიანული მიგებების (მირქმის) გახალხურებული სახეა. ეს დღესასწაული სხვადასხვა სახით სრულდებოდა სვანეთში, მთიულეთში, ფშავში, ხევსურეთში, ხევში, გურიასა და იმერეთში. ზოგან იგი ბავშვების დღეობადაც იყო მიჩნეული, რადგან პატარებს ძალიან ახარებდათ მასში მონაწილეობა.

სვანეთში ამ დღისათვის არყის, მუხის ან წიფლის ტოტებს ახმობდნენ, თითოეულ ოჯახში სამ კონას. ერთი კონა მარიამ ღვთისმშობლის სახელზე იყო შეთქმული. ხალხი ანთებული ტოტებით ერთ ადგილზე შეიყრებოდა და დიდ კოცონს გააჩაღებდა. შემდეგ გალობა და ლოცვა იწყებოდა. ამ დროს, როგორც კოშკისას, კეისარს, მის ცოლებს და ვეზირებს ირჩევდნენ და ერთ ოჯახში ნადიმობდნენ. კერას ანთებული სანთლებით შემოუკლიდნენ, მდეროდნენ სადიდებელ ჰიმნებს, იმართებოდა ჭიდაობა, გუნდაობა და ფერხული „ლამპრული“. სვანეთში ლამპრობა რამდენჯერმე აღინიშნებოდა. ანსხვავებდნენ წმინდა გიორგის, წმინდა მარიამისა და ცის ლამპრობას.

ცალკე იმართებოდა ბავშვთა ლამპრობა — ბარბიშელ ლამპარიელი. ამ დროს არყის ხის ანთებულ ტოტს ბავშვი ფანჯარაში შემოისროდა, დაიძახებდა „წელიწადმა მოგახვავაო“ და გაიქცეოდა. ოჯახის რომელიმე წევრი მას გამოეკიდებოდა, შინ შეიყვანდა, გაუმასპინძლდებოდა და დაასაჩუქრებდა.

ქვემო სვანეთში მამაკაცები და ბავშვები ანთებულ ტოტებს აქეთ-იქით ისროდნენ.

გურიაში ამ დღეობისათვის ბლის კანის, ანწლის ან ჩალისგან ამზადებდნენ ლამპრებს. მირქმის წინადღეს, დაღამებისას ოჯახის ყველა წევრი ანთებული ლამპრებით გარეთ გამოვიდოდა და იწყებოდა მხიარული მსვლელობა, ლამპრების ერთმანეთზე დარტყმა. ბავშვები თავ-თავიანთ ლამპრებს ადარებდნენ — რომელს უკეთესი გვაქვსო. მეორე დღეს — მირქმას ყველა ეკლესიაში მიღიოდა. ზოგ სოფელში ბლის კანისაგან კალოზე კოცონს ანთებდნენ და კუდიანებს დევნიდნენ. ადრე დამდგარ გაზაფხულს გალამპრებას ეძახდნენ.

მსგავსი სახელწოდების დღეობა — ამპარიობა იმართებოდა იანვრის დასაწყისში ან ბოლოს ხევსა და გუდამაყარში. ხევში მას გაზაფხულის მოახლოების მაუწყებლად მიიჩნევდნენ. გვარის უხუცესი ამ დროს შეგროვებულ ჩალას ლოცვით შემოუკლიდა:

— ღმერთო, ჩემი ხელი მშვიდობიანი იყოს მოსავლისათვის, მრავალი პური და მშვიდობა მოგვანიჭეო, — იტყოდა და მერე კოცონს აანთებდა.

ამ დროს ყველანი ხელებს აღაპყრობდნენ და სწამდათ, რომ მიცვალებულებიც თბებოდნენ. კოცონზე აუცილებლად უნდა გადამხტარიყვნენ. გუდამაყარში კოცონის — ამპარიას ანთებისას ახალწელს გამოიცხვარ პურს — საცრის კვერს საცერში ჩადებდნენ, მას ბავშვი მოიკიდებდა ზურგზე, კოცონს სამჯერ შემოუკლიდა და იძახდა:

— მომეშველე, მომეშველე, კეთილმა წელი მომწყვიტა, საფუარი ფუარი, სახლი ბარაქიანიო!..

თან ხშირი ტყისაკენ გაიხედავდა — ბარაქიანი მოსავალი იქნებაო. მერე შინ შევიდოდა, საცერს დადებდა და სხვა ბავშვებთან ერთად კოცონზე გადახტებოდა. საცრის პური ოჯახის ყველა წევრს უნდა ეჭამა. იგივე ჩვეულება ასევე იანვარში, წყალკურთხევის დღეს ქართლსა და მთიულეთშიც სრულდებოდა.



# ჩიცითა თომბა

საქართველოს სხვადასხვა მხარეში ფრინველებისაგან ყანების დაცვის მიზნით ფეხლიერის კვირაში ჩიტიფაფობას აწყობდნენ. რაჭაში ეს ჩვეულება შემდეგნაირად ტარდებოდა:

დიასახლისი ამზადებდა პურის ან სიმინდის ფქვილის ფაფას. გარედან ბავშვი ეძახდა:

- დედა, რას აკეთებო?
- ჩიტიფაფასო, — უპასუხებდა დედა.
- ვის და ვის აჭმვო?
- შენ და შავლესაო და ჩიტების გამრეკსაო.
- რას და რას ურთავო?
- ერბო-ზაჭოსაო.
- ჩიტები სად არიანო?
- მაღლა ახოსაო, იქა ჭამენ, იქა სვამენ, იქ მიუტანთ ულუფასაო.

ამის შემდეგ დედა გაატანდა ჯამებით ფაფას ბავშვებს, რომლებიც მას წააცხებდნენ ხებსა და ღობებზე, თან ამბობდნენ:

- ეს ბეღურას, ეს შაშვს, ეს თოხიტარას, ეს ჩხიკვსაო...

ფრინველებს ფაფა უნდა ემყოფინებინათ და ნათესებისთვის აღარ ევნოთ. ბავშვები სახლში ბრუნდებოდნენ და თვითონაც შეექცეოდნენ ფაფას.

ჩიტიფაფობის რიტუალს ატარებდნენ აგრეთვე მთიულეთში, ფშავში, ხევსურეთში, ხევში, ქართლსა და კახეთში.

ხევში ამ დღეს ფაფას, კვერებსა და ხინკალს ამზადებდნენ. შეღამებულზე, ცაზე ვარსკვლავების გამოჩენისას, ბავშვებს გარეთ გაიყვანდნენ. ისინი ვარსკვლავებს შეხედავდნენ და იძახდნენ:

- ეს ჩემი ვარსკვლავია, ეს ჩემიო!

სახადის ადვილად მოსახლელად აქვე ასეთ წესს ასრულებდნენ: ბავშვებს ხელზე რამდენიმე წვეტ თბილ რძეს დაწვეტებდნენ, თითქოს ვარსკვლავებია მოფენილიო. ამ დღეს ლოცულობდნენ იოანე ნათლისმცემლის სახელზე, რომელიც სახადის განმგებლად მიაჩნდათ.

ფშავში დიდმარხვაში, აღების შემდეგ ორშაბათს აღნიშნავდნენ თაგვ-ჩიტიუქში. ამ დღეს არ მუშაობდნენ, უქმობდნენ, რომ ჩიტებსა და თაგვებს მოსავალი არ გაეფუჭებინათ, ამზადებდნენ ფაფას. ბავშვი ბაზე ავიდოდა და დედას ერდოდან ჩასძახებდა:

- დედავ, რასა იქმ?
- ჩიტთა ფაფასაო.
- ჩიტნი რაღასაო?
- სხვათა ფანასაო...

შემდეგ ბავშვი ვართან მივიდოდა. დედა ფაფას მიაწოდებდა და ჩიტებს დაუდებდნენ საჭმელად. ამავე დროს ბავშვები ჯოხებზე შეაბამდნენ ჩვრებისაგან გაკეთებულ ჩიტების და თაგვების გამოსახულებებს, სახლს შემოურბნდნენ, ჯოხს დაბლა სცემდნენ და იძახდნენ:

- ანგელოზო, შინ შემოდი, თაგვო, ჩიტო, კარში გადიო!..

წაიღებდნენ იმ ჯოხებს და სხვის ერდოში ჩაგდებდნენ ან სოფლის გარეთ გაიტანდნენ და სხვა სოფლის ადგილში დატოვებდნენ. ამ დროს იმ სოფლის ბავშვები ამათი სოფლისაკენ მოდიოდნენ იგივე მიზნით. შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ატყდებოდა ჩხუბი. ვინც დამარცხდებოდა, იმათი სოფლის ადგილებში აღმოჩნდებოდა ჩიტებისა და თაგვების გამოსახულებანი. დაახლოებით ასევე სრულდებოდა ეს ჩვეულება მთიულეთში.



# ძელმა

## შე შინა და შე გარეთა

ბავშვის დაბადებისას ყველა ქართულ ოჯახში ძეობა იმართებოდა. ეს იყო ოჯახის ახალი წევრის გაჩენით ახლობლების სიხარულის გამომხატველი დღესასწაული. ბავშვის დაბადების მესამე დღიდან ორი კვირის განმავლობაში ახალშობილთან და მის დედასთან მისალოცად და ღამის სათევად მიღიოდნენ ახლობლები და ნათესავები. ჯერ საღღესასწაულოდ მორთული ქალები მიულოცავდნენ დედას, შემდეგ კი — კაცები. ქალები დედა-შეიღლთან დარჩებოდნენ, კაცებს კი სხვა ოთახში მიიწვევდა მასპინძელი. შემდეგ იწყებოდა ლხინი, ქწყობოდა ღამისთევა



ავი სულებისაგან დედა-შვილის დაცვის მიზნით. ღამისთვისას იმართებოდა ფერხულის სახეობა ფერხისა და სრულდებოდა საძეობო სიმღერა „მზე შინა“. ამ დროს ორი ნახევარმწყობრი სიმღერით შედიოდა სახლში, თან მზეს იწვევდნენ შინ, ჩვილთან და მის დედასთან. სიმღერას ფქვსაც აყოლებდნენ, ირხეოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ და მეტად შშვენიერი სანახაობა იქმნებოდა. სიმღერის ორ სტრიქონს ქალები მღეროდნენ, მომდევნო ორს — ვაჟები. გარეთ გამოსვლა და შინ შესვლა „მზე შინას“ სიმღერით რამდენჯერმე მეორდებოდა. სიმღერის შემდეგ ნადიმი გრძელდებოდა. ბოლოს ასაკოვანი სტუმრები სუფრასთან რჩებოდნენ, ახალგაზრდა ქალ-ვაჟები კი ისევ ფერხულში ჩაებმებოდნენ. მესტვირისა და სხვა მემუსიკეთა თანხლებით სამაისაც ცეკვავდნენ და მღეროდნენ. საძეობო დღესასწაული თხუთმეტ ღამეს გრძელდებოდა, ბოლოს ღამის მთველ ქალებს მილოცვის დროს მიტანილი საჩუქრების ნაწილს დაურიგებდნენ. ჩვილის დედა ორმოცი დღის განმავლობაში მოსვენებაში იყო.

„მზე შინა და მზე გარეთას“ უძველეს დროში ჩვენი წინაპრები თურმე მზის სადიდებლად მღეროდნენ, მაგრამ მოგვიანებით იგი საძეობო სიმღერად ქცეულა. საფიქრებელია, რომ როცა ერმა იგრძნო გამრავლების აუცილებლობა გარსშემოჯარული მტრების გამო, მზის თაყვანისცემას თავისი მომავლის თაყვანისცემა არჩია და ამ სიმღერით გამოხატა ვაჟის შეძენით გამოწვეული სიხარული.

სიმღერის ძირითადი ტექსტი ასეთია:

მზე შინა და მზე გარეთა, მზევ შინ შემოდიო,  
უყვილია მამალსაო, მზევ შინ შემოდიო,  
გათუნდი თუ გათუნდები, მზევ შინ შემოდიო,  
მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ შინ შემოდიო,  
ჩენ ვაჟი დაგვბადება, მზევ შინ შემოდიო,  
დუშმანსა ქალი ჰეონია, მზევ შინ შემოდიო,  
ვაჟის მამა შინ არ არის, მზევ შინ შემოდიო,  
ქალაქს არის აკვნისთვინა, მზევ შინ შემოდიო,  
ვაჟის მამას მოუხდება, მზევ შინ შემოდიო,  
თეთრი კაბა ატლასისა, მზევ შინ შემოდიო,  
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა, მზევ შინ შემოდიო,  
ეაბახს ხროლა, ბურთაობა, მზევ შინ შემოდიო,  
მზევ, შემოდი ბაკებსაო, მზევ შინ შემოდიო,  
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო, მზევ შინ შემოდიო.  
გიხაროდეთ ქალებოო, მზევ შინ შემოდიო,  
გიხაროდეთ ძეობაო, მზევ შინ შემოდიო.

მოგვიანებით სიმღერა „მზე შინა“ დაირის, დუდუკის და სხვა დასაკრავების თანხლებით სრულდებოდა. რიგ შემთხვევაში „მზე შინა“ საქართველოს სხვადასხვა გუთხეში აკვნის სიმღერად გადაიქცა, მას მღეროდნენ ბატონებიან ბავშვთანაც. დღეს „მზე შინა“ აკვნის სიმღერად და საბავშო-საამღზრდელო ნაწარმოებად მიიჩნევა.

# ბერიკალბა

თებერვალსა ან მარტში, ყველიერის კვირაში, როცა გაზაფხული მოახლოედებოდა, ბუნების აღორძინებისა და ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი უძველესი დღესასწაული ბერიკალბა იმართებოდა. ყველიერის თამაშები მთელი წლის განმავლობაში ყველაზე გამორჩეული იყო. დიდი მარხვის წინ ხალხი მხიარულებასა და ლხინს ეძლეოდა.

ბერიკალბაში მთავარ მოქმედ პირს თავბერიკა (მთავარი ბერიკა) წარმოადგენდა. იგი თხის ან ცხვრის ტყავით იყო შემოსილი, სახეზე ნაბდის ნიღაბი ეკვთა თხისავე ყურებით, რქებითა და წვერებით, ხოლო უკან ხარის კუდი ჰქონდა მიმაგრებული. მთავარ ბერიკას გვერდს დედოფალი ანუ კველა უმშვენებდა, რომელსაც ქალის კაბაში გამოწყობილი, ქალურად მორთული და მოკაზმული ვაჟი განასახიერებდა. მათ უკან სხვა ბერიკები მოჰყვებოდნენ — ღორბერიკა, ღორის ტყავით შემოსილი, რომელსაც ჯოხზე წამოცმული ღორის გამხმარი თავი ეჭირა; რამდენიმე ვაჟი, ბველმანებში ჩაცმულნი და ფაფაზებით თავდახურულნი არაბს, ლექსა და თათარს წარმოადგენდნენ, თითქოს სოფლის დამრბევები იყვნენ. ერთი მონაწილე მღვდელს განასახიერებდა, რომელსაც თავბერიკასა და დედოფლისათვის ჯვარი უნდა დაწერა. ერთ-ერთ ბერიკას — ნათლიას დედოფალი უნდა დაეცვა, რომელსაც სხვა ბერიკები და აბეზარი ხალხი კოცნა-ხვევნას უპირებდა. სოფელში მსვლელობისას მათ თან ახლდათ მომღერლები, რომლებიც ფანდურზე, ჩონგურსა და სტვირზე უკრავდნენ. უკან კი მებარგული ბავშვები მოდიოდნენ სანოვაგის ჩასწყობად და ღვინის ჩასასხმელად განკუთვნილი კალათებით, გუდებით, ხურჯინებითა და კოკებით. ყველანი ხის ხმლებით, ფარებითა და შურდულებით იყვნენ შეიარაღებულნი. ბერიკები ჩამოივლიდნენ სოფელს, ყველა ეზოში შედიოდნენ, იმართებოდა ცეკვა-თამაში და სიმღერა, გაისმოდა ბერიკული ლექსიც:

ბერა მოდგა კარებსაო,  
აბრიაღებს თვალებსაო,  
ხელი ჩაჰკარ ხალამშიო,  
ღმერთი მოგცემს ბარაქასო,  
ვინცა ბერას არას მისცემს,  
მელას მისცემს ქათმებსაო...

ყოველი ოჯახი სიხარულით უებებოდა ბერიკებს და ასაჩუქრებდა. რას არ გამოუტანდნენ მათ — ხორცს, პურს, ყველს, ერბოს, კვერცხებს, თაფლს, ღვინოს და სხვა სანოვაგეს. კმაყოფილი ბერიკები ცეკვავდნენ და მღეროდნენ:

გაუსვი ფეხი მაგრადა,  
თან მიაყოლე ხელები,  
ამ სახლის პატრონს აუგოს  
პირამდე პურით ბეღლები.

მასპინძლები ყოველმხრივ ცდილობდნენ თავბერიკასთვის ან სხვა ბერიკებისთვის წვერები მოეგლიჯათ. მერე იმ წვერებს ბაგაში და საბუდარში დებდნენ, რადგან საქონლისა და ფრინველების გამრავლების საწინდრად იყო მიჩნეული.





ცეკვა-თამაშს ფანდურისა და ჩონგურის ხმები ერთვოდა, მესტვირე სტვირს უკრავდა და თან მასპინძლის საამებელ სიმღერას დასძახოდა:

ჭალას თუვზმა ჩაძიტყუა,  
ჩანათალმა ხისამაო...  
სახლო, ღმერთმა აგაშენოს,  
სამართალმა ღვთისამაო...  
ეროსანი, მეროსანი,  
ცხრანი ფრთანი წვეროსანი...  
ემაწვილებიც მოგეზრდებათ,  
სკამზე გესხდეთ წვეროსანი!..

თუ ბერიკებს საჩუქარი ეცოტავებოდათ, რომელიმე მათგანი ეზოში გაგორდებოდა, ეს კი ოჯახისათვის ცუდის მომასწავებლად ითვლებოდა — ნაკლები მოსავალი მოვა და ხბო და ქათამი არ გაგვეზრდებაო, სჯეროდათ. ზოგჯერ ბერიკები სახლში შეცვივდებოდნენ და თვითონ იტაცებდნენ სხვადასხვა სურსათს. ირგვლივ მხიარულება და ხალისი სუფევდა. მთავარი ბერიკა დედოფლისაკენ იწევდა საკოცნელად, ამასვე ცდილობდნენ სხვა ბერიკები და ირგვლივ შემოჯარული მაყურებლები. ვინც დედოფლის კოცნას მოახერხებდა, დოვლათიანი და ბედნიერი იქნებოდა.

ბერიკები ერთი ეზოდან მეორეში გადადიოდნენ და ასე მთელ სოფელს მოივლიდნენ. ზოგჯერ მათი მოგზაურობა დილამდე გასტანდა. მასპინძლები მოთმინებით ელოდნენ ბერიკებს, რადგან მათი მოსვლა, ცეკვა-თამაში, მათთვის საჩუქრის მიცემა და ბერიკების წვერები ოჯახისათვის მოსავლიანობისა და დოვლათის მომცემად ითვლებოდა.

სოფლის ჩამოვლისას მოედანზე მთავარი ბერიკასა და დედოფლის ჯვრისწერა თამაშდებოდა. მერე თითქოს თავბერიკას კლავდენენ, მტირალ დედოფალს ძონძებით შემოსილი ბერიკები — თათარი, არაბი და ლეკი იტაცებდნენ, მაგრამ უცებ თავბერიკა გაცოცხლდებოდა, გამოუდგებოდა გამტაცებლებს და დედოფალს დაიბრუნებდა.

ბერიკები ზოგჯერ ერთ სოფელს არ სჯერდებოდნენ და რამდენიმე სოფელს მოივლიდნენ ხოლმე, რის გამოც ბერიკაობა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ხშირად გზაში სხვადასხვა სოფლის ბერიკები ერთმანეთს შეებრძოლებოდნენ და გამარჯვებულები მთელ შეგროვილ სანოვაგეს ისაკუთრებდნენ.

მერე ისევ სოფლის მოედანზე ბრუნდებოდნენ, სადაც ცეკვა და სიმღერა, ხის ხმლებით მოჩვენებითი ბრძოლა და ჭიდაობა იმართებოდა, რომელშიც ბერიკებთან ერთად მაყურებლებიც მონაწილეობდნენ.

მებარგული ბაჟვები შეგროვილ სანოვაგეს მთავარ ბერიკასა და დედოფალს მიართმევდნენ. იმართებოდა საერთო სუფრა და ბერიკებთან ერთად მთელი სოფელი ილზენდა.

ბოლოს ყველანი ღმერთს მადლობას უხდიდნენ და კარგი მოსავლისა და საქონლის გამრავლებისათვის ლოცულობდნენ.

ბერიკაობა ხალხის მიერ წარმოდგენილი შშვენიერი თეატრალური სანახაობა იყო. ეს ხალხური დღესასწაული ოდნავ განსხვავებული წესებით საქართველოს ყველა მხარეში წყვიბოდა. მაგალითად, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, შავშეთში, მას ბერობანას უწოდებენ და ახლაც ახსოვთ. იმერეთსა და სვანეთში მასში მხოლოდ ბავშვები მონაწილეობდნენ.

ამ შშვენიერ სანახაობას ქართლსა და კახეთში ჩვენს დროშიაც მართავენ ხოლმე.

# მერტეპულობა (კოშკობი)

სვანეთში გაზაფხულის დადგომამდე, ობერგალსა ან მარტში (ყველიერის აღებისას ან დიდმარხვის ორშაბათს) იმართებოდა შვილიერების, განაყოფიერების, მოსავლიანობისა და მესაქონლეობის ღვთაება კვირიასადმი მიძღვნილი, ბუნების აღორძინების დღესასწაული მურყვამობა (კოშკობა). მასში ძირითადად ახალგაზრდობა მონაწილეობდა.

ამ დღესასწაულისათვის ფიტქებით გადათეთრებულ ვაკეზე აგებდნენ თოვლის კოშკს, რომელსაც შუაში ძელს დაატანდნენ და წვერზე ჯვარს, კალათას ან დროშას დაჰკიდებდნენ (თუ თოვლი არ იყო, მაშინ ნაძვის ხეს აღმართავდნენ). სწამდათ, რომ ვინც თოვლის კოშკს საფუძველს ჩაუყრიდა ან თავზე მდგნალის ხის ჯვარს დაადგამდა, უსათუოდ ვაჟი შეეძინებოდა.

ქვემო სვანეთში კოშკობაზე ლაშეთის თემი იკრიბებოდა სოფელ უახუნდერში, მათი ერთი ნაწილი მეორეს ეჯიბრებოდა სიმღერაში, ფერხულსა და ჭიდაობაში. შეის ამოსვლისას ასრულებდნენ კვირიას საგალობელს:

ცის მონაწილე ხარ, კვირია, მიწის მონაწილე ხარ, კვირია,  
შევ ცისა, კვირია, მიწავ წყლისა, კვირია...

ზემო სვანეთში თოვლის კოშკის აგების შემდეგ დღესასწაულის მთავარ მონაწილეებს აირჩევდნენ. ესენი იყვნენ: კეისარი, კეისრის პირველი და მეორე დედოფალი (მათ ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი ხუმარა კაცები ანსახიერებდნენ), საქმისაი და მისი ათი მხლეებელი. მეორე დღეს კოშკობის მონაწილენი ყველა ოჯახს ჩამოივლიდნენ და დალოცავდნენ. მათ გულითადად უმასპინძლდებოდნენ და არყის ხის ტოტებს ჩუქნიდნენ.

შემდეგ ძონძებში ჩაცმული და გამურული კეისარი და საქმისაი დედოფლებითა და მხლეებლებით თოვლის კოშკთან მივიდოდნენ. იქვე იკრიბებოდა მაყურებელი ხალხი. კოშკის ურთ მხარეს კეისარს დააძინებდნენ თითქოს, მეორე მხარეს საქმისაის დასვამდნენ და ხაჭაპურს მიართმევდნენ. საქმისაი კეისარს დედოფალს მოსტაცებდა და გაიმართებოდა მათ შორის ჭიდაობა, შემდეგ ფერხული ეწყობოდა.

მთავარი ნაწილი ამ დღესასწაულისა, როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში, წინასწარ აგებული თოვლის კოშკის წაქცევა იყო. სოფლების ან უბნების მიხედვით დაჯგუფებული ხალხი კოშკს მისცვიცდებოდა ნიჩებით, ყველა ცდილობდა, იგი თავისი სოფლისაკენ წაექცია, რაც იმ მხარისათვის უხვ მოსავალს და საქონლის გამრავლებას მოასწავებდა. განსაკუთრებით ყმაწილები მოწინაობდნენ — ცდილობდნენ თოვლის კოშკზე ასვლას და კალათის მოტაცებას. ბოლოს რომელიმე ჯგუფი თავის მხარეს წააქცივდა თოვლის კოშკს, რასაც საერთო ქრიამული, შეძახილები და მხიარულება მოჰყვებოდა.

თოვლის კოშკის წაქცევის შემდეგ იმართებოდა ჭიდაობა. ყველა სოფელს თავისი მოჭიდავე გამოჰყავდა. გამარჯვებულებს ხალხი ხელში აიყვანდა და მოედანს შემოატარებდა. ჭიდაობაში ბავშვებიც მონაწილეობდნენ, თოვლში ამოგანგლული მოჭიდავენი ხალხში სიცილსა და მხიარულებას იწვევდნენ. ისინი ერთმანეთს შშვილდისრის სროლაშიც ეჯიბრებოდნენ.

შემდეგ ორი თანაბარრიცხოვანი გუნდი ფერხულში ჩაებმებოდა და ასრულებდა სიმღერას. იმართებოდა აგრეთვე ორი ან სამსართულიანი ფერხული, ბოლოს ეწყობოდა ნადირობის სცენა სიმღერით:

კახაბერი გარ, მონადირე გარ, ვნადირობ ჯანგულთაშვი,  
კალავ ხარჯიხვებს, არჩვებს არ ვკადრულობ...

ფერხულის შემდეგ ერთ კაცს სასასცილოდ გამოაწყობდნენ, ხელში წნელსა და ხის ხმალს მისცემდნენ და „მელია-ტელეფელიას“ მღეროდნენ:

ელია, მელია, ჩიტიც მოგვიწველია...



თოვლის კოშკი მეტად მიღებული იყო სვანეთში. მისი შეგავსი დღესასწაულები სხვა კუთხეებშიც ყოფილა გავრცელებული: ნაციხურობა — რაჭაში, ჭვენიერობა — სამეგრელოში... მკვლევართა აზრით, კოშკობა, ყევნობა და ბერიკაობა ადრეულ ხანაში ერთი და იგივე დღესასწაული უნდა ყოფილიყო. მურყვამობას ჩვენს დროშიაც მართავენ ხოლმე.



# ტერიტორია

ბერიკაობის შემდეგ, ყველიერის კვირას ან დიდმარხვის ორშაბათს ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში ყენობა იმართებოდა. ყენად ახალგაზრდა, ენამოსწრებულ და კარგ ვაჟკაცს ირჩევდნენ. ვირზე ამხედრებულ ყენის ხელში მაღალტარიანი მტრედისფერი დროშა ეჭირა, სახეზე რქებიანი და თხის წვერებიანი მუფაოს ნიღაბი ჰქონდა აფარებული, ყელზე ნაზუქი, ხახვის გალა ან ფერადი მძივები ეკიდა, უკან წნელის კუდი ეკეთა, თავზე კი მრგვალი პური — ყენის ხმიადი ან საბუდარი ედო. გვერდს მას დედოფალი უშვენებდა, რომელსაც ქალის კაბაში გამოწყობილი, ჩიხტიკოპაიანი ვაჟი განასახიერებდა. მათ მთელი ამალა მიჰყვებოდა — ნიღბებით, ტყავებითა და რქებით შემკული ვეზირები, ბერიკები, კუროები, ნათლია, შაპი, ლეკი და არაბი.

მხლებლებით გარშემორტყმულ ყენის ერთხანს მოედანზე დასვამდნენ. მას ქარქაშიდან ამოღებული ხმალი ეჭირა, რომლის წვერზე ვაშლი ან ხახვი იყო წამოცმული, იქვე დავთარი ედო, რომელშიაც თითქოს აღნუსხული იყო სხვადასხვა ოჯახისადმი შეწერილი გადასახადები: ღვინო, არაყი, ყველი, ერბო, ქადა და სხვა.

— გადასახადები მოართვით ყენსო! — იმახდნენ ვეზირები და ბერიკები.

ირგვლივ უამრავი ხალხი იყრიდა თავს. დიდი და პატარა, ყველა მხიარულობაში იყო ჩაბმული. ყენი წამოდგებოდა და ქალებს ეცეკვებოდა. მისი ამალის წვერებიც ცეკვავდნენ, ფანდურზე დამკვრელები და მესტვირეები კი სატრფიალო ლექსებს მღეროდნენ.

იქვე ყენისა და დედოფლის დაქორწინება გათამაშდებოდა და მერე ყველანი სოფელს ჩამოუკლიდნენ. ყენი და მისი ამალა ეზოებში შედიოდნენ, ხოლო მაყურებლები ჭიშკართან ჩერდებოდნენ. ყენის მხლებლები სხვადასხვა სანოვაგეს, ღვინოსა და არაყს აგროვებდნენ. ყველა ოჯახს გამოჰქონდა ხონჩაზე დაწყობილი ხილი, ჩურჩხელები და ყურძენი. სამაგიეროდ ყენი სიმინდის ტაროს ამოიღებდა, მარცვლებს ჩამოფშვნიდა და მასპინძელი ოჯახის წვერებს აძლევდა, რომელიც კრუხისათვის უნდა ეჭმიათ. ეს ქათმების სიმრავლეს მოასწავებდა.

სოფლის ჩამოვლის შემდეგ ზურნისა და სტვირის ხმაზე იმართებოდა ჭიდაობა, სხვებთან ერთად ყენი და დედოფალიც ჭიდაობდნენ. თუ ყენი გაიმარჯვებდა, კარგი მოსავალი იყო მოსალოდნელი.

ჭიდაობის შემდეგ ხალხი ყენისა და დედოფალს წყალში აგდებდნენ, ისინიც ხალხის გწუწვას ცდილობდნენ და იმახდნენ:

— გამრავლდით, გაგიმრავლდეთ ძროხა, ცხვარი, წიწილები და უხვი მოსავალი მოგსვლოდეთ.

ზოგჯერ ყენობაში მეფესა და დედოფალსაც განასახიერებდნენ. ისინი ყენისა და მისი თანმხლები დედოფლის მოწინააღმდეგებად იყვნენ გამოყვანილი. თუ მეფე და ყენი იჭიდავებდნენ, აუცილებლად მეფეს უნდა გაემარჯვა. ამ ჩვეულებაში ქართველი ხალხის მტერზე გამარჯვების სურვილი იყო გაცხადებული.

დასასრულ დიდი ლხინი იმართებოდა. თამადად ყენს ირჩევდნენ. სადღეგრძელოებში ღმერთს მაღლს უძღვნიდნენ და უხვი მოსავლისათვის ლოცულობდნენ.

ძირითადად ასე ტარდებოდა ყენობა ქართლსა და კახეთში, სხვა მხარეებში კი შეიძლება ოდნავ განსხვავებული რიტუალი გენახათ. მაგალითად, სამეცნიელოში სასაცილოდ მორთულ, ვირებზე ამხედრებულ ყენისა და დედოფალს უკან ჯოხებით შეიარაღებული მხლებლები მიჰყვებოდნენ. ადევნებული მაყურებლებიდან ყენს ბიჭები ზურგიდან სცემდნენ, დედოფალს კი აჯავრებდნენ. მხლებლები მათ დაცვას ცდილობდნენ და გამჯავრებელთაგან ვისაც დაიჭირდნენ, ჯარიმას ახდევინებდნენ. ბოლოს ხალხი ყენს ტანსაცმელს შემოაგლეჯდა, რასაც მოჰყვებოდა სიცილი, მხიარულება და ცეკვა-თამაში.

# ჭიათურობა

აღდგომის წინ, დიდ ოთხშაბათს საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა ჭიათურობა. ამ რიტუალში ძირითადად ბაჟვები მონაწილეობდნენ უფროსების ხელმძღვანელობით. დაანთებდნენ ვაზის ნასხლავის, მცენარეთა ტოტების და ჩალაბულასაგან დიდ ცეცხლს — ჭიათურონას — ეზოში ან ვენახში და ეშმაკ-კუდიანებს წყვლიდნენ:

— არული კუდიანებსაო!

შემდეგ გადაახტებოდნენ კოცონს და დაიძახებდნენ:

— ჯვარი აქაურობასო!

ხალხის რწმენით, თუ ადამიანს მავნებელი პქონდა ტანში შემჯდარი, გადახტომისას ეს მავნებელი ცეცხლში ჩავარდებოდა და დაიწვებოდა.

ეს უძველესი ჩვეულება დღესაც სრულდება და ძალიან ახარებს ბაჟვებს. მეტად ლამაზად მოჩანს ჭიათურობისას შეღამებულზე ჩვენი მთისა და ბარის სოფლები. მხოლოდ ამ დროს ხმელი ტოტები უნდა დავწვათ და არა საბურავები.

ქართლში ამბობდნენ, რომ ჭიათურონობა ღამეს გრძნეულები ბრუტსაბძელას მთაზე იკრიბებოდნენ. იმერული ლეგენდის მიხედვით ეშმაკ-კუდიანები ამ დღეს ტაბაკელას (ტაბაკინის) მთაზე გროვდებიან თავიანთ უფროსთან — როგაპთანო, ამასვე ამბობდნენ გურიასა და სამეგრელოში. ეშმაკების შეკრების ადგილად ასახელებდნენ აგრეთვე სვანეთის მწვერვალ უშბას და აჩხოტის მინდორს ხევში.

ეს ჩვეულება დამყარებულია უძველეს წარმოდგენაზე, რომლის მიხედვით ცეცხლი ავი სულების საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა. ამასთანავე იგი ქრისტიანობამაც დაიახლოვა, რადგან ვნების კვირაში წწყობა და თანაც ეშმაკებს ჯვრის, ქრისტესა და ღვთისმშობლის სახელით აშინებენ. ხვესურეთში ამ დროს „კუდიან წუხრას“ ეძახდნენ. აქ ოთხშაბათს საღამოს დედაკაცები ყველაფერს ჯვარს გაუკეთებდნენ ნახშირით და ამბობდნენ:

— ქრისტეს დედამ დაგრას ბეჭედი, ქრისტეს დედამ, მარიამმაო!

ასკილის ტოტებს კარის თავზე, საკვამურში და სარკმელში დადებდნენ და იტყოდნენ:

— კუდიანს შეხმას ფქიო!

ბავშვები ჭიათურონასთან ეკლისგან დამზადებულ ისარს ფრთებს გაუკეთებდნენ, მერუ ცეცხლს წაუკიდებდნენ, შორს გადაისროდნენ და დაიძახებდნენ:

— კუდიანებო, ჩვენსას ნურას წაიღებთ, თავისა შასვით და შაჭამეთო!

სვანეთში ოჯახის უფროსი ნაჯახს აიღებდა, ბავშვები — მუგუზლებს, ყველანი გარეთ გაცვიდებოდნენ ეშმაკების გასაღევნად და იძახდნენ:

— ფრთები დაგწვათ მავნე სულებს, ჩვენ ჯვარი გვეწეროსო!

ჭიათურობასთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ ერთი ჩვეულება, რომელსაც ბავშვები ასრულებდნენ აღდგომის წინადღეს თუშეთში, ხესა და ხევსურეთში. ესაა მარხვის გოდრის დაგორება ანუ „მარხვის ჩატკეცვა“. ბავშვები გოდორს ჩალა-თივით გატენიდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და ფერდობზე დააგორებდნენ, თან მისდევდნენ, ზედ გადახტომას ცდილობდნენ, ჯოხებით სცემდნენ და ქვებს ესროდნენ. ზოგ სოფელში სანამ დააგორებდნენ, გოგონები ცეცხლმოკიდებულ გოდორთან ტირილს გამართავდნენ — ლევის სახლი იწვისო. ბოლოს ბიჭები გოდორს წყალში ჩააგდებდნენ, ჩააქრობდნენ და მხიარულები ბრუნდებოდნენ უკან — მარხვა ჩავტკიცეთო (გავისტუმრეთო).

ხევსურეთში ამ დღეს მარიამწმინდობას ეძახდნენ. რომელი ბავშვიც ცეცხლმოკიდებულ გოდორზე გადაახტებოდა, ეძლეოდა „სახელ-სახსოვარი“ — ცხრა ხინკალი. ბოლოს ბავშვები მარიამწმინდის დროშას და ჯვარს აიღებდნენ და დედა მარიამს სოფლისა და მათი ოჯახების წყალობას შესთხოვდნენ.



# ჭონა

აღდგომის წინა კვირაში, უმეტესად მის წინაღამებს, ახალგაზრდები კარლაკარ ჩამოფლიდნენ სოფელში და მღეროდნენ საგანგებო სიძლერას — ჭონას. უკრავდნენ სალამურზე, შაირობდნენ, მართავდნენ ცეკვა-თამაშსა და ჭიდაობას.

შემდეგ სიმღერით ულოცავდნენ ყველა ოჯახს აღდგომის შემობრძანებას. დამხვდურებს მათვის კვერცხი უნდა ეჩუქებინათ. ზემო იმერეთში ასეთ სიმღერას მღეროდნენ.

აი, კიჭები, კიჭები, კვერცხებზე ღვეიკრიჭები,  
ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასა,  
ამოიღე ორი კვერცხი, ღმერთი მოგცემს ბარაქასა,  
მთაში ბორბლები დავთალე, წამოვიდა გორებითა,  
შენი ოჯახი აივსო, პურითა და ქონებითა,  
არიელი მარიელი, ნუ გაგვიშვებ ცარიელი...

ამ ჩვეულებას ჭონა ეწოდება. მის მონაწილეებს სახეზე ჩამოფარებული პქონდათ მწარე კვახის (ხაპის) ნიღბები, რომელზედაც პირი, კბილები და თვალები იყო ამოჭრილი. კბილებად კვახის ნიღაბს სიმინდის მარცვლებს უკეთებდნენ, ულვაშებად — სიმინდისვე ულვაშს. ზოგ კუთხეში მათ ტყავ-ბეჭვეულის ტანსაცმელიც ეცვათ, თითქმის შენიღბულები იყვნენ.

ქართლში ჭონაზე განსხვავებულ სიმღერას მოისმენდით:

ალათასა, ბალათასა, ჩამოვკიდებ კალათასა,  
დედი, ერთი კვერცხი მომე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა.  
ახალი სახლი დაგიდგამს, გარს შემოვირუტეამს ფიჭვით,  
ღმერთმა ყველა გაგიზარდოს, გოგო იყოს თუ ბიჭიო...

მერე ამასაც იმღერებდნენ:

დათვმა ყანა მოგვიძოვა თავის ორი ბელითაო,  
აღე, გოგო, კვერცხი ჩადე შენი ორი ხელითაო.

ჭონა ქრისტიანობამდე საგაზაფხულო სიმღერა ყოფილა, რომელიც შემდეგ აღდგომასთან დაუკავშირებიათ.

სამცხე-ჯავახეთში ჭონაზე დიდი მარხვის ბოლო კვირაში მიდიოდნენ. 5-6 ვაჟი სალამურს უკრავდა, შეგროვდებოდნენ სოფლის გოგო-ბიჭები და გამართავდნენ ცეკვა-თამაშს. შემდეგ ოჯახებს დაუკლიდნენ ასეთი სიმღერით:

ჭონას დავალოთ გალობითა, ღმერთი თქვენი წყალობითა,  
ლოცვას ღამიანთ მოისმენთ ქრისტე ღმერთის ბრძანებითა,  
ლიტანიას შემოუვლით სანულ-კულაპტარუბითა,  
გარდამოხსნას დასცექერიხართ თქვენ კეთილი თვალებითა.  
აღე, ქალო, კვერცხი ჩადე შენი ოქროს ხელებითა,  
აღვა ქალი, დაძრა ტანი, ქვეშ გობია, ზედ საცერი,  
ალვა ცრა და მუშკი ზილა, აცხო იმან ქადა პური,  
ერთი ვუთხარ, ორი მომცა, ცხონდა იმის ძამის სული.

ამ სიმღერით ბანის ერდოდან კალათას ჩაუშვებდნენ, სადაც დიასახლისი კვერცხებს ჩააწყობდა. თუ ოჯახში ახალშობილი ჰყავდათ, მასაც სიმღერით მიულოცავდნენ. მეორე ოჯახის ბანზე ახალ სიმღერას იმღერებდნენ:

ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახდა ქიშმიშობასა,  
ღმერთმა სუყველა დაგასწროთ აღდგომა ქრისტე-შობასა...

თუ დიასახლისი კვერცხის გამოტანას დააგვიანებდა, მაშინ მღეროდნენ:

ტყეში წაველ, შემა მოჟჭურ,  
გამოვთალე როდინიო,  
პატარძლებო, გაგვისტუმრეთ,  
მოგვეწყინა ლოდინიო.



# ყვავილთა ღორისასწაული

კახეთში გარდობისთვეში იმართებოდა ყვავილთა ღღესასწაული — არიფანა. ბავშვები შინიდან წაიღებდნენ პურ-მარილს, უმეტესად ტკბილეულს, ტკბილ სასმელებს და ბუნებაში გაშლიდნენ სუფრას, რომელიც ამასთანავე ვარდებით, ზიზილებითა და სხვა ყვავილებით იყო დამშვენებული. თვით ბავშვებს ყვავილთა გვირგვინები ედგათ თაჯზე, უმეტესად გვირილებისა. იქვე ირჩევდნენ ამ ღღესასწაულის დიასახლისს, რომელიც ზრუნავდა ყველა მონაწილეზე. ბავშვები მღეროდნენ, ამბობდნენ ლექსებს, ცეკვადნენ და თამაშობდნენ:

ჭია-ჭუა გადავყარე,  
კარდის კონა შემოვყარე,  
ეს ზიზილა თქვენ,  
საღამოს რძე თქვენ,  
დილის რძე კი ჩვენ...

ძროხების პატრონები ბავშვებს რძეს, კვერცხებს და შაქარს აძლევდნენ. ახალგაზრდები ამით ტკბილ კორკოტს ხარშავდნენ და სუფრას ბუნებაში შლიდნენ.



# ნადი

ნადი წარმოადგენდა თანასოფლელთა ურთიერთდახმარების ფორმას, როცა ერთი გლეხის ყანას მეზობლები და ახლობლები ერთად ამუშავებდნენ. საქართველოს სხვადასხვა მხარეში სიმინდის თოხნაზე, მარგვლასა და მოსავლის აღებაზე ნადს იწვევდნენ. ნადში ხალისით მიდიოდნენ, იგი შრომასთან შერწყმულ ზეიმად მიაჩნდათ. ამ დროს სიმღერის თანხლებით მუშაობდნენ. ამ სიმღერებს ნადური ანუ ყანური წწოდებოდა. გურიაში ნადის წევრთა რიცხვსაც სიმღერა განსაზღვრავდა — 8-12 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ ორპირად იმღერებდნენ, მაშინ 16-24 მთოხნელ-მომღერალი უნდა მოწვიათ. რვა კაციან ნადში მომღერალთა ფუნქციები ასე ნაწილდებოდა: ორი დამწყები იყო, ორი — გამყივანი (გადამძახებელი), ხოლო ორ-ორს ბანი უნდა ეთქვა. მთქმელი სიმღერის ორგანიზატორი იყო, გამყივანი ტექსტს ბანამდე მიიტანდა, ხოლო ბანი ერთ მთლიანობად კრავდა. ნადური მდორედ იწყებოდა და თანდათან მაღლდებოდა.

ნადურის ტექსტებს გურიაში საჩივრები წწოდებოდა. აი, ერთი მათგანი:

ეღამა თუ მეღამაო, ჩიტი მოკლა ხველამაო,  
მივა გვრიტი სანახავად, არ გაუშვა დედამაო.  
— მიმავალი ბევრი ვნახე, მომავალი ვეღარაო.

ზოგი მომღერალი ახალ-ახალ ლექსებს გამოურევდა საჩივრებში. გარდა საჩივრებისა, იმღერებოდა სახუმაროები — ყბისსაქცევები. თუ მასპინძლის ყანას ადრე მორჩებოდნენ, მეზობლის ყანაში გადავიდოდნენ სიმღერით:

ჩვენ არ გვეყო შენი ყანა,  
მეზობელმა წაგვიყვანა...

მასპინძელს ნადი დიდ პატივში ჰყავდა — დღეში ოთხჯერ კვებავდა. დილით საუზმეს მიართმევდა, შუადღისას — სადილს, შემდეგ — სამხარს და ბოლოს — ვახშამს. ამის მიხედვით საუზმემდე დილის ნადურს მღეროდნენ, სადილამდე — შუადღის ნადურს, შემდეგ სამხრისა და საღამოს ნადურს.

თუ სადილს დააგვიანებდნენ, მაშინ მასპინძელს მიუმღერებდნენ:

მიძინოსა მწყერი უყვარს, შევარდენსა ნადირობა,  
თუ მასპინძელს ნადი უყვარს, აწი კია სადილობაო...

როცა სადილის მომტანი გამოჩნდებოდა, მაშინ მღეროდნენ:

შემოხახე, ბიჭო, ოსა, მესადილეც ქე გამოჩნდა,  
დადგი გოგო კალათაო, ჩვენ ჩამოვალთ ბარადაო...

სიმღერით შრომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამ დროს ნადი უფრო ნაყოფიერად მუშაობდა. სიმღერის რიტმს თოხის მოძრაობა მიჰყვებოდა და მთოხნელთა მოქმედება ერთიან მოქმედებად ყალიბდებოდა. ამიტომ ვისაც სიმღერა არ შეეძლო, ნადთან ვერ თოხნიდა, ცალკე უნდა ემუშავა. თუ ახლომდებარე ყანებში ორი ნადი მუშაობდა, მაშინ ისინი რიგ-რიგობით მღეროდნენ.

გურიის სხვადასხვა სოფლებში ნადურის განსხვავებული სახეები არსებობდა — საჯაოხურა, ქობულეთურა, გურიანთულა, შემოქმედურა და სხვა.

ნადით ამუშავებდნენ აკადმიუმი, გადასახლებული ან ჯარში გაწვეული მეზობლების ყანებს. ამ დროს პატრონს არ აწუხებდნენ, თავისი ხარჯით მიდიოდნენ სამუშაოდ.

სიმინდის აღებაც, უმეტესად, ნადის საშუალებით ხდებოდა.

გურიაში სიმინდის ტეხვისა და რჩევის დროს შესრულებულ სიმღერას „ხელხვავი“ ქროდება. იგი, ისევე როგორც ნადური, შრომის სიმღერაა. მის რიტმს სიმინდის მრჩეველები ხელებს აყოლებდნენ და შრომა და სიმღერა ერთიანდებოდა. ხელხვავს ორი გუნდი მდეროდა — ეჯაბრებოდნენ ერთმანეთს, როგორც სიმღერაში, ისე შრომაში. პაექრობაში ძირითადად ვაჟებისა და ქალიშვილების გუნდები მონაწილეობდნენ. მხიარულ შრომასა და სიმღერაში საქმეც სწრაფად კეთდებოდა, გარჩეული სიმინდის ტაროები ხვავებად იდგა, რომლებსაც მალე ნალიაში დააბინავებდნენ. მანამდე კი მასპინძელი ვახშამზე ეპატიუებოდა ნადის წევრებს — მთავარი მოლხენა იწყებოდა. მალე სუფრის „ხელხვავს“ დააგუგუნებდნენ, მას ახალგაზრდების ცეკვა მოჰყებოდა და დიდხანს ახალისებდა ღამეს შშრომელთა მხიარული ხმები.

სამეგრელოში სიმინდის აღების დროს გამართული ნადის თითოეულ მონაწილეს განსაზღვრული საქმე ევალებოდა. სიმინდს ტეხდა „მატახალი“, ჩალას „მაჭკირალი“ ჭრიდა,



„მაკირალი“ კონას კონავდა, ხოლო „მაზვენაი“ ზვინს დგამდა. სიმინდის სარჩევად აქაც ნადს აწყობდნენ, იგი ღამით იმართებოდა მთვარის ან ჭრაქის შუქზე. მასში ძირითადად ახალგაზრდა ქალები და ვაჟები მონაწილეობდნენ. ნადის წევრები ერთობოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ.

„ხელხვავს“ სამეგრელოშიც მღეროდნენ:

ხემხვაიოდა, ხვარიელი, ოხო, ხო,  
ხემხვაიოდა, ხვარიელი, ოხო, ხო,  
ჩქინ მენძილი ტარიელი, ოხო, ხო,  
ჩქინ მაღაზა ეფშა რედო, ოხო, ხო,  
ნტერეფიში — ცარიელი, ოხო, ხო,  
ხემხვაიოდა, ხვარიელი, ოხო, ხო,  
ჩვენი მასპინძელი ტარიელი, ოხო, ხო,  
ჩვენი ბეღელი სავსე და, ოხო, ხო,  
მტრუბისა კი ცარიელი, ოხო, ხო...

ნადს იწვევდნენ ლაზეთშიც და იქაც სიმღერით მუშაობდნენ. სასიძო ნადს იწვევდა საცოლის ოჯახის სასარგებლოდ, ხოლო დანიშნული ქალიშვილი ქალების ნადს იწვევდა საქმროს ოჯახისათვის.

ახლა იმერეთში გადმოვინაცვლოთ. აქ თოხნისას სიმღერას ღმერთის ხსენებითა და მასპინძლის ქებით იწყებდნენ:

პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,  
ღმერთი ისე შეგვეწვა, როგორც რომ ვალდებულია!..  
ცამა დასჭუქა, დაბდგვინა, ზეცით შეიქნა გვიგვინი,  
შენ დიდო ღმერთო, მოგვასწარ მასპინძლის შვილსა გვირგვინი!  
რიონი მოდიდებულა, ხე მოაქვს ძირიანათ  
მასპინძლ დამალოცვინე ცოლიან-შვილიანათ.

ყანას გულიანი თოხნა უნდა, ტყუილად კი არ უთქვამს ხალხს, სიმინდი თოხის შვილიაო. გასამხნევებლად ასეთ სიმღერასაც შემოსძახებდნენ:

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი, ბიჭებო, ნუ ხართ უგულოთ,  
ჰერი, ბიჭო, გენაცვალე, თოხნური დავაგუგუნოთ...

ეყრო ვენახის დასამუშავებლადაც იყენებდნენ ნადს. ვაზს ხომ ოდითგანვე სიყვარულით ეყრო ვენახის დასამუშავებლადაც იყენებდნენ ნადს. ვენახის თოხნა იმერულ სოფელში ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობად იყო მიჩნეული და ამ დროს სიმღერაც ხშირად გაისმოდა, კახეთშიც სიმღერით ეფერებოდნენ მარჩენალ ზვარს.

დავთოხნოთ, ძმებო, ვენახი, ლამაზად შეკაზმულია,  
ღრმადაც ჩავუშვათ თოხები, სიმღერები ვთქვათ ძმურია...

როცა ხორბალი შემოვა, ყანას მზეკაბანი ამშვენებს — ნიავის დაძვრისას მზის სხივებზე ღელავს, ლიფლიფებს ტალღებთვით, ირჩევა და ფერებად იღვრება. აღმოსაფლეთ საქართველოში



პურის მოსამკელად მოწვეულ ნადს მამითადი ქწოდებოდა. ყანაში მუშებს შუაში მეთაური ჩაუდგებოდა და სიმღერის წამოწყებით მკის დაწყების ნიშანს იძლეოდა. მამითადში მღეროდნენ:

გლესავ და გლესავ, ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო,  
გახჭერ, გამიძებ წინაო, ნამგალო ჩემო რკინაო,  
ბიჭო, პური შემოსულა, ნამგალო ჩემო რკინაო,  
ღელავს, ბზინავს ოქროსფერად, ნამგალო ჩემო რკინაო,  
მუშის თვალი შიგ ტრიალებს, ნამგალო ჩემო რკინაო,  
მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ, ნამგალო ჩემო რკინაო...

პოოპუნას შეძახილზე ნამგალს რიტმულად ამუშავებდნენ. თვით ნამგალიც სიმღერით ილესებოდა:

გავლესოთ, ბიჭო, ნამგალი,  
პური შევვენა სამკალი...

მკის დამთავრებისას იტყოდნენ:

დარ მოხნულო, დარ მომკილო,  
დარშიამც გაილეწები,  
ორმოს ჩადი, ძველად გადი,  
სალხინოდ, საქორწინოდ დაიხარჯები!

ნადი და მამითადი შრომაში სიმღერით შეჯიბრების სადღესასწაულო სანახაობაც იყო.

ნადს იწვევდნენ საქართველოს ყველა მხარეში. მაგალითად, ფშავში ნადი იკრიბებოდა სალოცავის — ხატის ყანის მოსამკელად. მომკელები ჯერ ხატში მიდიოდნენ, საკლავს მიიყვანდნენ და ლუდს დაამზადებდნენ. ხევისბერი ხატის ყმებს დალოცავდა, გარდაცვლილებს მოიგონებდა, მერე გაუძღვებოდა ნადის წევრებს, პირველი გამოჭრიდა თავთავს ქერის ყანაში და იტყოდა:

— ღმერთო და ჩვენო სალოცავო, შენ უშველე შენთა ყმათა ნადში მოსულთა თავის მოვალეობის ასასრულებლად. დაუტანე მადლი და ბარაქა ნაშრომ-ნაამაგარსაცა და მიეც მადლი შენი ქეროქროთაცა!..

სამკალს ისევ ხევისბერი დაამთავრებდა. მერე ყველანი ხატში შეიკრიბებოდნენ, გაიშლებოდა სუფრა და დაიწყებოდა ლუდის სმა. ბოლოს ხატის მსახურები — დასტურები მოსავალს ხატის ბეღელში ინახავდნენ.

მთიულეთ-გუდამაყარში ურთიერთდახმარების სახეებს ქწოდებოდა: „მუშათ შეყრა“ — საძირკვლის გაჭრის, სახლის გამართვის, ახოს აღების, თიბვისა და მკის დროს; „მონდავი“ — ხვნა-თესვისას; „საქმის საღამოს“ ქალები ხელსაქმეში ქმარებოდნენ ერთმანეთს.

მძიმე ტვირთის გადატანის დროს ლაზეთში, აჭარასა და გურიაში ნადი „ელესას“ მღეროდა. იგი შრომის წარმმართველი, ულექსო სიმღერაა.

# გონჯალშა-ლაპიროშა

როცა სოფელში გვალვა დადგებოდა და მოსავალს საფრთხე დაემუქრებოდა, საქართველოს ყველა მხარეში წვიმის მოსაყვან წეს-ჩვეულებას მიმართავდნენ. ხატს ან ჯვარს გამოასვენებდნენ ეკლესიიდან და მდინარეში აბანავებდნენ. წინ მღვდელი მიდიოდა ხატით ხელში, უკან ფქბშიშველა ხალხი მისდევდა. გაბანდა ხუცესი ხატს და უკანდაბრუნებულებს ხშირად წვიმა წამოწეოდათ ხოლმე.

თუ ხატის გაბანვა არ უშველიდათ, სანთელსა და განატეხს წაიღებდნენ სალოცავზე, საკლავს გაიყოლებდნენ, შუბლს სანთლით შეურუჯავდნენ, ღმერთს წვიმის მოსვლას სთხოვდნენ, მერე სოფელში დაბრუნდებოდნენ და საერთო ხარჯით ლხინს გამართავდნენ. როცა ნადიმი გათავდებოდა, ღამით საამო წვიმა მოვიდოდა. ზოგჯერ მთაში მდებარე ტბაზე მიდიოდნენ და წვიმის მოსაყვანად ქვის ჩაგდებით წყალს შეარხევდნენ.

გონჯაობა ანუ ლაზარობა გვალვის ან წვიმის საწინააღმდეგო სავედრებელი მსვლელობა იყო და მასში ძირითადად ბავშვები მონაწილეობდნენ. რაჭაში იგი ასე ტარდებოდა: ტანს ზევით გაშიშვლებულ, ნახშირით გამურულ და ზარებიან ჯოხზე შემჯდარ ბიჭს დაჰყვებოდნენ უკან სოფლის კაცები წყლიანი დოქებით, წუწავდნენ და მღეროდნენ:

გონჯა მოდგა კარუბსაო,  
აყვრიალებს თვალებსაო,  
ღმერთო, წვიმა მოიყვანე,  
მოუხდება კანებსაო...

თან სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ხუმრობდნენ, გოგოებს ეცეკვებოდნენ, კვერცხებს, ყველს და სხვა სანოვაგეს აგროვებდნენ. მერე ერთად სხდებოდნენ და ლხინს მართავდნენ, რომელშიც მესტვირეც მონაწილეობდა.


ზოგჯერ გონჯაობაზე ასე ევედრებოდნენ ღმერთს:

ქამს ერთი ღმერთი,  
მამა ყოვლისა შემოქმედი,  
მპყრობელი ციხა და ქვეყნისა.  
პეტრი, უფალო და მეუფეო,  
გვაღირსე ნამი,  
ვიყოთ შენი მაკედონებელი,  
მოგვეცი სასმელი და საჭმელი,  
ნუ გამოგვილვა ცხოვრუბის წყაროს.

გონჯაობა საქართველოს სხვა კუთხეებში ოდნავ განსხვავებული წესით ტარდებოდა. იმერეთში გონჯას მთლად გაშიშვლებული და გამურული 10-13 წლის ბიჭი განასახიერებდა. მას ხელში ჯოხი ეჭირა და მღეროდა:

გონჯა მოდგა კარსა,  
აბრიალებს თვალსა,  
ვინც საციქველი არ მისცეს,  
გვალვა მის კანასა...

სახლიდან მასპინძელი გამოვიდოდა, კვერცხებსა და ფქვილს აძლევდა გოგო-ბიჭების ჯგუფს და წყალს გადაასხამდა.



რაჭაში, იმერეთსა და სვანეთში ამ ჩვეულებას გონჯაობას ეძახდნენ, ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა და საინგილოში — ლაზარობას.

მესხეთ-ჯავახეთში სოფლის გოგო-ბიჭები იკრიბებოდნენ, ერთ ქალწულს თავზე თასს დაადგამდნენ და ზედ შარფს გადააფარებდნენ. ოჯახის პატრონები თასში წყალს ასხამდნენ და საჩუქრებს იძლეოდნენ.

ლაზეთში წვიმის მოსაყვანად მაღალ მთაზე მადლიან მეზობლებს გაგზავნიდნენ, რომლებიც წვიმის მოსვლისათვის ლოცულობდნენ.

საინგილოში ახალგაზრდებს წინ ბელადი მიუძღვდა, ძალიან დიდი დედოფალა ეჭირა ხელში და მღეროდა:

დღეს მოგვეცით ფქვილიო,  
ხვალ გამოვა მზეო...

შეგროვებულ სანოვაგეს ჰყიდდნენ და მისი საფასურით ბატკანსა და თხას ყიდულობდნენ. ბატკანს ღმერთს შესწირავდნენ, თხას — ელიას.

ელია წვიმის მომყვან ღვთაებად ითვლებოდა, ლაზარეც ამინდის ღვთაება იყო.

ქართლში ლაზარობაში ქალები და ბავშვები მონაწილეობდნენ, თიხის ან ხისგან გაკეთებულ, ბავშვის ტანსაცმელში გამოწყობილ „ლაზარეს“ ამინდის თოჯინას დაატარებდნენ და მღეროდნენ:

ახ, ლაზარე, ლაზარე,  
ლაზარ მოდგა კარსა,  
აბრიალებს თვალსა,  
ცხავი აცხავებულა,  
წვიმა გაჩქარებულა,  
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,  
აღარ გვინდა მზის თვალი...

ავდარში მღეროდნენ:

აღარ გვინდა ცის ნამი,  
ღმერთო, მოგვეც მზის თვალი!

შავშეთში, კერძოდ, იმერხევში ლაზარობაში მხოლოდ ბავშვები მონაწილეობდნენ, საწესო სიმღერის შემდეგ გამოვიდოდა სახლის პატრონი და მათ კალათში კარაქს, ყველს, კვერცხს, ფქვილს და ტკბილეულს ჩაუწყობდა. მერე კი თუ წვიმა სურდათ, წყალს მიასხამდა მათ, ხოლო თუ მზეს თხოვდნენ ღმერთს, ნაკვერჩხლებს მიაყრიდა. იმ მოსახლეს, რომელიც სიძუნწეს გამოიჩნდა, ბავშვები ცოცხს ჰპარავდნენ და მდინარეში ჩაჰკიდებდნენ ამინდის გამოცვლამდე. შემდეგ კი ჩუმად მიუგდებდნენ უკან.

ესე იგი, უნდოდათ — წვიმას მოიყვანდნენ, უნდოდათ — დარს დაიყენებდნენ.

სამეგრელოში ამინდის თოჯინას ბოჭყუდიას, ძიძიკვაკვას ან ძივოეს ეძახდნენ; ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში — ლაზარეს; იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში — გონჯოს; საინგილოში — კოტიკოტიას; თუშეთში — საწვიმარ გუგას.

ბოლო დროს გონჯაობა-ლაზარობას მხოლოდ ბავშვები ასრულებდნენ, როგორც გასართობ საშუალებას.

# შუამთობა

შუამთობა ძალიან მშვენიერი ქართული ხალხური დღესასწაულია, რომელიც აჭარაში იმართებოდა და ახლაც ეწყობა ხოლმე. ეს დღესასწაული მესაქონლეობის განვითარებასთანაა დაკავშირებული და ნაყოფიერების სიმბოლურ ქმედებებს შეიცავს. იგი იმართებოდა ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში. ამ დროს სოფლად მყოფნი მთებში მიდიოდნენ, სადაც მწყემსები და მენახირეები იმყოფებოდნენ. სოფელში ამ დროს მთავარი სამუშაოები დამთავრებული იყო, ამიტომ ყველას შეეძლო მთაში წასვლა. მიდიოდნენ თვით მოხუცებიც და ბავშვებიც. ოჯახში თვითო ადამიანი რჩებოდა. მთაში წასულებს მიჰქონდათ უამრავი სანოვაგე და საჩუქრები იალაღზე მყოფთათვის და იქ ერთ კვირამდე რჩებოდნენ. ყოველ დღე იმართებოდა ზემი, ლხინი, დოლი, შაირობა და სხვა.



შუამთობის დღესასწაული შავშეთსა და მესხეთშიც წყობოდა. უფრო მეტიც, იგი მთელ თანამედროვე და ისტორიული სამხრეთ საქართველოს მხარეთა დღესასწაულს წარმოადგენდა. შუამთობა წწოდებოდა იმიტომ, რომ იგი მთაზე მესაქონლეთა ყოფნის შუა პერიოდს ემთხვეოდა. ლიგანის ხეობაში ამ დღესასწაულს მარიამობის სახელით მოიხსენიებუნ. ფიქრობენ, რომ შუამთობის შემადგენელი ქრისტიანული წეს-ჩვეულებები დავიწყებას მიეცა. მთაში წასვლის დროს სოფლის თავკაცები აღგენდნენ და მგზავრობა კოლექტიურად წყობოდა. ამ მშენებელმა დღესასწაულმა ჩვენს დრომდე მოაღწია.

შუამთობა ზოგ სოფელში უმეტესად ქალების დღესასწაულად ითვლებოდა. ახალ ტანსაცმელში, სადღესასწაულოდ გამოწყობილი, ქოლგადახურული ქალები მოკაზმულ ცხენებზე ამხედრებულები, როცა მთის ფერდობს შეეფინებოდნენ აჭარის თვალწარმტაცი ბუნება კიდევ უფრო დამშვენდებოდა. შუამთობაზე სასიძოს ოჯახი პატიუებდა საპატარძლოს. მას გაუგზავნიდნენ შეკაზმულ ცხენს, საპატარძლო კაბას და ქოლგას. ქალებს ცხენოსანი ან ქვეითი მამაკაცები მიაცილებდნენ იარაღასხმულნი, ჩონგურის, საზის, ფანდურის, გარმონის, ჭიბონისა და დოლის თანხლებით. ქალები ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ ცხენოსნობაში. დანიშნული ქალი მთაში ღამეს თვეისი მამის ბინაში ათევდა, მხოლოდ სტუმრად მიიწვევდნენ საქმროს ახლობლები. ხალხურ ლექსში ნათქვამია:

მზე ამოვა და ქვეყანას ეფინება მზისა თვალი,  
მორთული და მოკაზმული ცხენზე ჯდება ყველა ქალი.

გზად წყაროებთან ჩერდებოდნენ, გაშლიდნენ სუფრას, იმართებოდა ცეკვა-თამაში და სიმღერა. მთაში ასულებს თვალწინ გადაემლებოდათ ულამაზესი, მწვანით და ათასგვარი ყვავილებით შემგული საძოვრები, რომლებზეც ცხვრის ფარები და ნახირი იყო გადაფენილი. მისვლისას თოფების სროლას ატებდნენ, ცივ წყაროებთან გამართულ ბინებში მონატრებული ახლობლები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ნამგზავრი სტუმრების დასვენების შემდეგ იწყებოდა ზეიმი. ყოველ მომღევნო დღეს გრძელდებოდა გართობა, ლხინი, ცეკვა-თამაში, სიმღერა, მელექსეთა შეჯიბრება — შაირობა, ჯირითი, დოღი, ჭიდაობა, თოფის სროლა მიზანში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სოფლები, ხეობები, აგარაკები. განსაკუთრებით დიდი მოწონება პქნია პოეტურ შეჯიბრს, შეღამებისას სერებზე კოცონს დაანთებდნენ და იწყებოდა გაშაირება, ზღაპრების მოყოლა, ცეკვა-თამაში, რომელიც ხალხურ შემოქმედებაში ასეა ასახული:

ფანდური და ლექსების თქმა, შაირების ღვარად დენა,  
ამ მხარისა და იმ მხარის პასუხი და არ დათმენა.  
აქა ჩნდება, ვისაცა აქვს სიტყვების თქმის დიდი ნიჭი,  
შაირებში ერთ-მეორეს უჯდებიან გოვო-ბიჭი.

ამ დროს იქმნებოდა სახოტბო, სახუმარო და სატრფიალო ლექსები.

შეიდარა ხალხი მთაში და დაუკრეს ჭიბონია,  
პადე, გოგოვ, შენაც წამო და გავაბათ წიქოლია.

წიქოლი, ფადიკო-ქოჩეგური და „აქლემის შეკაზმვა“ ხალხური თამაშები იყო, რომლებსაც შუამთობაზე ასრულებდნენ. ფადიკო-ქოჩეგური ბერიკაობას მოგვაგონებდა, ხოლო „აქლემის შეკაზმის“ დროს ხისაგან გამოთლილი აქლემით დადიოდნენ, ხალხს აცინებდნენ და საჩუქრებს იღებდნენ. ზოგან მთავარი სანახაობა ბუღდების შერკინება იყო. ცეკვებიდან ასრულებდნენ ხორუმს, ოპოინანას, განდაგანას და სხვებს.

# რთველი

რთველი ქართველი გლეხისათვის შრომასთან წილნაყარ დღესასწაულს წარმოადგენდა და ასეა დღესაც. მაგრამ ამ დღესასწაულამდე დიდი შრომაა გასაწევი. გასხვლა და გათოხვნა, ახვევა და გაფურჩქნა, შეელვა და შეწამვლა, მორწყვა და კიდევ რამდენი რამაა საჭირო ვაზისათვის. გარდა ამისა ვენახთან დაკავშირებული მრავალი წეს-ჩვეულება არსებობდა, რომელთა შესრულება ხალხის რწმენით უხვ მოსავალს უზრუნველყოფდა.

ავი თვალისაგან ვენახის დაცვის მიზნით დიდ ხუთშაბათს კახეთში ვაზის სარებზე და მარანზე ასკილის ტოტებს ჰქიდებდნენ. ყვავილობის დროს ვენახის წინა მხარეს ვაზებს წითელი ქსოვილის შელოცვილი ნაჭრები ჰქონდათ გაკეთებული. ზოგიერთი სალოცავზე მიდიდოდა და უფალს შესთხოვდა:

— გადაარჩინე ვენახები წვიმებისაგან, ქარიშხლისაგან, სეტყვისაგან, გამოაღებინე ვაზს ნაყოფი, ნუ დააზიანებ მტებანსო!..

მწიფობაში შესულ ვენახში ძემვის ტოტებს დაჲკიდებდნენ. ყველიერის პარასკევს ქართლში ვაზის დასაცავად კვირტის უქმე იცოდნენ, მამაკაცები უქმობდნენ, რომ ვაზს კვირტი არ გასცვენოდა. განსაკუთრებით სათუთა იგი ყვავილობისას. ვაზს უთქვამს: ნეტავ მე რომ ყვავილში შეგალ, ჩემი პატრონი ავად გახდეს, რომ ვერც თვითონ შემოვიდეს ვენახში და ვერც სხვა შემოიყვანოსო.



საახალწლოდ თითქმის ყველა კუთხეში სრულდებოდა ვაზისადმი მიძღვნილი რიტუალები – ახალ წელს აცხობდნენ მტევნის კვერს, ვენახში შევიდოდნენ და დიდი მოკრძალებით ულოცვდნენ, ვაზებს ღვინოს გადასხამდნენ, იქვე მამალს დაკლავდნენ და ჩიჩილაკს დადგამდნენ. ისმოდა ვაზისადმი მიძღვნილი ლოცვა:

— ღმერთო, დიდებულო, მამულის ანგელოზო, ლერწი გვიმრავლე და გაგვიხარე, სიკეთეში მოგვახმარე ხარისა და კაცის ნამუშევარი, ნუ მოაკლებ ჩვენ ყანა-ვენახებს ბარაქასო!

გურიასა და სამეგრელოში ახალ წელს ვენახის დასალოცი რიტუალი მარანში სრულდებოდა.

კახეთში რთველი სექტემბერში იწყება, ასე იყო ადრეც. ქვევრებს დარეცხავდნენ, გოდრებსა და კალათებს მოამზადებდნენ. დილაადრიან ოჯახის უფროსი ვენახში წავიდოდა და ცეცხლს დაანთებდა. შემდეგ ოჯახის წევრები, ნათესავები და სტუმრები მივიდოდნენ საკლავითა და პურლვინით. კრეფის დაწყებამდე ვენახის თავში ისაუზმებდნენ. ოჯახის უფროსი დაილოცებოდა:

— ღმერთო, ბარაქა მოგვეცი, მრავალჯერ შეგვახვედრე ამ დღეს გახარებული და გამრავლებული.

ვენახში ჯერ ბავშვები შეცვიდებოდნენ ჟრიამულით, დიდ-დიდ მტევნებს მოწყვეტდნენ და სუფრაზე დააწყობდნენ. ყველა შეჭამდა თითო მარცვალს ლოცვით, ღმერთმა სიმწარე გაშოროს, სიტკბო მოგვცესო.

მერე ლოცვითვე რომელიმე წმინდანისადმი შეთქმულ ვაზზე აკიდოებს აჭრიდნენ, ოღონდ ნუ დამისეტყვავ და მოსავალი ლხინში მომახმარეო. ხატისათვის განკუთვნილი ვაზის ხელის ხლება არ შეიძლებოდა, სანამ პირველად მოკრეფილ ყურძენს ხატში არ მიიტანდნენ. კრეფის დაწყებამდე უფროსი კაცი ერთ აკიდოს აჭრიდა და წყვილ სანთელთან ერთად სალოცავში მიიტანდა, სანთელს დაანთებდა და დაილოცებოდა, ბარაქა მომეცი, ოჯახი კარგად მიმყოფეო. თუ სალოცავი შორს იყო, მისთვის განკუთვნილ აკიდოს შეინახავდნენ და შემდეგ მიიტანდნენ იქ. კრეფის დაწყებისას ოჯახისათვის საუკეთესო მტევნებს აჭრიდნენ ჯაგნებად. თან პირჯვარს გადაიწერდნენ, ბარაქა ჩვენს საქმესო და დაიწყებდნენ კრეფას. ოჯახის ახლობელი ყურძნით სავსე გოდორს წამოიკიდებდა და იტყოდა, ასე დამძიმდეს ვაზიცო.

რთველში უმეტესად ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, ბავშვებიც ქმარებოდნენ უფროსებს, ივსებოდა კალათები, გოდრები და ეზიდებოდნენ მარნებისაკენ. თუ ვენახი სახლიდან მოშორებით იყო, ურმებზე უდებდნენ გოდრებსა და კოდებს. თუ ვენახთან მგზავრი გაივლიდა, აუცილებლად ყურძენს მიაწოდებდნენ. ამას მოწმობს ხალხური ლექსიც:

- სადაური ხარ, სად მიხვალ, საითკენ მიეშურები,  
მოდი, ყურძენი მიირთვი, თითა და ბუდეშურები!..
- არ მინდა, შენი ჭირიმე, მოვალ, გზას მივეშურები...

რთველი სახალისო შრომითი დღესასწაულია. ყველა მხიარულია და ხალისიანი. ნელა გაიკრიფება ვაზები და დღეც მიიწურება. ბოლოს ვაზს ერთ დიდ მტევნას შეაჭყლეტდნენ ბარაქიანი მოსავლის მიღების ნიშნად. ზოგან რთვლის დამთავრებისას სამ ძირ ვაზს გასხლავდნენ, იქვე მსუქან ბავშვს გააგორებდნენ და იტყოდნენ, მერმის ამოდენა მტევნები მოისხიო. ხშირად ერთმანეთსაც დაეჭიდებოდნენ და ვაზებში გაგორდებოდნენ. რთველი დიდი ლხინით მთავრდებოდა. ყურძნის მოსავლით გახარებული გლეხი შესაფერის სიძღვნიდან გადასახლდა:

გენაცვალე, ვაზის ძირო,  
შე ბრუნდე და შე ლამაზო,  
ძინამ პირში სული მიდგა,  
შენი ძირი ვალამაზო.

მრავალ ხალხურ ლექსშია გადმოცემული ვაზის სიყვარული და აღწერილია რთველი.

ღვინობისთვე რომ დადგება,  
ვენახში გაჩნდება რთველი,  
იწურება კურძნის წვენი,  
ღვინო არის მეტად ბევრი.  
დამიძახეთ ვაჟკაცებსა,  
გამორეც ხონ საწნახელი,  
მოამზადონ ღვინისათვის,  
ქვევრებს მოუღერონ კელი.



დაიკრიფებოდა კახეთის ვენახები და ყურძნის დაწურვის შემდეგ ალავერდობაც მოდიოდა. მლოცველები შესაწირავითა და პურ-ღვინით ფარდაგებგადაფარებულ ურმებში სხდებოდნენ და ალავერდის მშვენიერი ტაძრისკენ მიემართებოდნენ. ალავერდობაზე მლოცველები არა მარტო კახეთიდან, არამედ ერწო-თიანეთიდან და ფშავ-ხევსურეთიდანაც მიდიოდნენ.

როცა ქართლსა და კახეთში რთველი დამთავრდება, დასავლეთ საქართველოში მაშინ დაიწყება. იმერეთისა და რაჭის ფერდობებს შეფენილი ვენახები ურიამულითა და მხიარულებით აივსება. გზებზე გოდრებით, კოდებითა და ძარებით სავსე ურმები გამოჩნდებიან. რთველს ყურძნის დაწურვა მოსდევს — ტკბილის სუნი დატრიალდება ირგვლივ. მერე ფელამუშის მოდულება და



ჩურჩხელების ამოვლება იწყება. ამ დროს განსაკუთრებით ბავშვები მხიარულობენ. ზოგჯერ დაკრეფილ ვენახებშიც დარბიან და აქა-იქ დარჩენილ ყურძნის მტკვნებს ეძებენ.

გურიასა და სამეგრელოში ვენახთან დაკავშირებული საქმიანობიდან ძირითადი რთველი იყო. ყურძნის კრეფის დროს ნადი იკრიბებოდა, გიდლითა და ბაწრით მაღლარს მიაშურებდნენ. ხეზე ავიდოდნენ, გიდლებს ჩამოკიდებდნენ, ტოტებში მოხერხებულ ადგილას ჩაჯდებოდნენ და კრეფის დაიწყებდნენ. გურიაში მაღლარი ჩხავერის კრეფისას, როცა გიდელი გაივსებოდა, მკრეფავი ძირს ჩამოუშვებდა სიმღერით — ა გიდელიო. ხის ძირში მყოფი გამომცვლელი სავსე გიდელს ჩამოხსნიდა, თოკზე ცარიელ გიდელს დაკიდებდა და მკრეფავს ასძახებდა, — შშეიდობით ჩამოდიო, მერე სავსე გიდელს იქვე მდგარ გოდორში ცლიდა. ნაშუადღევს საღილზე იკრიბებოდნენ მასპინძლის ოჯახში. ყურძნის კრეფას მეზობლები, მთელი უბანი და სოფელი ერთად იწყებდა. შრომას თან სიმღერა ახლდა, მკრეფავები ერთმანეთს ეშაირებოდნენ:

ა გიდელა თოხიტარა,  
ღორმა ჭური მოგითხარა,  
სახლის გვერდზე მოგიტანა,  
ჰოო, ჰოო, ვო...

ახლა მეორე დაიწყებდა:

ა გიდელა ხარაბუა,  
დაკრიფე და არ აბია,  
ჰოო, ჰოო, ვო...

უბანი უბანს, სოფელი სოფელს ეშაირებოდა:

ა გიდელას დრო დამდგარა, ვიღას ახსოვს ეანებიო,  
ასკანლებსა გადუკოცნეს ბახველებმა ქალებიო...

ერთ მხარეს დაწყებული სიმღერა მეორე მხარეს მიიწევდა, უბანს გაივლიდა და მთელ სოფელს მოედებოდა...

ზოგ კუთხეში სხვა წესებიც არსებობდა თურმე. მაგალითად, ტაო-კლარჯეთში, კერძოდ, პარხალის სოფლებში, რთვლის დროს ეწყობოდა დღესასწაული, რომლის დროსაც ვაჟები ნახევრად შიშვლდებოდნენ, ტანზე ყურძნის მტკვნებს იკიდებდნენ, ფერხულს ცეკვადნენ და მღეროდნენ.

# კითილი ბაცონები

ხალხში სხვადასხვა დაავადებებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებიც არსებობდა. განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ გადამდებ აგადმყოფობებს წითელას, ყვავილს, ქუნთრუშას, ყბაყურას და ყივანახველას. მათ ბატონების სახელით მოწიწებით მოიხსენიებდნენ. მაგალითად, თუ ბავშვს წითელა ბატონები შეხვდებოდა, თვრამეტი დღე უნდა ჩატარებულიყო მისადმი მიძღვნილი სხვადასხვა რიტუალი. ავადმყოფს უნდა მოქცეოდნენ ძალიან სათუთად, რათა ბატონები არ გაჯავრებულიყვნენ. მათ პატივსაცემად აკეთებდნენ ხონჩას. აცხობდნენ ცხენისმაგვარ ტკბილ ჰურს, თხის პატარა თიკნებს, იხვის მაგვარ ნამცხვრებს და ყველაფერს ენდროში ღებავდნენ. ხონჩა მწოლიარე ბავშვის სასოფუძულთან იდგა. მასზე აღნიშნულის გარდა წყო სხვადასხვა სათამაშოები და ტკბილეული. ხალხს სწამდა, რომ ბატონებს მუსიკა, ცეკვა, ყვავილები და ტკბილეულობა უყვარდა და თუ სურვილს შეუსრულებდნენ, დაავადება იოლად



მოსცილდებოდათ. მღეროდნენ ბატონების საგალობელს „ბატონებოს“. იგი განმკურნებელი სიმღერაა და საბოდიშოსაც ეძახიან. რიგ შემთხვევებში ანთებდნენ ბაზმას — კეცზე ინთებოდა დამტვრული ნიგოზი ნაჭუჭთან ერთად.

იმერეთში თუ შემთხვევით დედ-მამა რაიმეს დააშავებდა ბატონების მიმართ, კისერში ლვლერჭეს ჩააბამდნენ და ბავშვის ირგვლივ შემოაფორთხიალებდნენ. ქართლში თუ ავადმყოფი შეწუხებული იყო, იტყოდნენ ბატონები გაჯავრდნენ, მდუმარედ მივიდოდნენ მდინარესთან, ქვას ამოიღებდნენ, თხილის წნელის რკალზე შეაბამდნენ და დილიდან საღამომდე ყელზე ეკიდათ. გურიაში თოფის სროლა არ შეიძლებოდა, თუ სოფელში ვინმეს ბატონები ჰყავდა.

სამეგრელოში წმინდა ბარბარეს ბატონების მამიდად თვლიდნენ და ბარბარეს ეკლესიაში აგზავნიდნენ შესაწირს, ბატონების მოხდის შემდეგ კი თვით ავადმყოფსაც მიიყვანდნენ ხოლმე.

როცა დათქმული დრო გავიდოდა და ბავშვი მოიკეთებდა, მაშინ ხონჩას გადმოიღებდნენ. დედა ბავშვს წინ გაუძღვებოდა ჩონგურით ხელში. ან დედა უკრავდა ჩონგურს ან მეზობელი. მღეროდნენ იავნანას:

ლამაზი ბატონებია,  
ია და ვარდი პფენია,  
ბატონებო, მოუოხეთ,  
მოუოხეთ, ბატონებო...

ხონჩას გაიტანდნენ სახლისგან მოშორებით გზის ნაპირზე და დადებდნენ ღობეზე ან ჩირგვზე. ამას ბატონების გადალოცვა წროდებოდა.

ქართლში ფეხშიშველნი მიღიოდნენ სახადიან ავადმყოფთან და ასე მღეროდნენ ბატონების პატივსაცემად:

იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავნანინაო,  
შვიდი და-ძმანი დადიან, იავნანინაო,  
შვიდ ხოფელს მოეფინენ, იავნანინაო,  
შვიდი კარავი დახცესო, იავნანინაო,  
მობრძანდნენ და გაგვახარეს, იავნანინაო,  
ია და ვარდზე იარეთ, იავნანინაო,  
თქვენს გზასაც გაუხარია, იავნანინაო,  
გახარებული გვამყოფე, იავნანინაო.  
ბატონების მამიდასა, იავნანინაო,  
ქვეშ გვუშლით ხალიჩასა, იავნანინაო,  
ორხუასა და ქეჩასა, იავნანინაო;  
ბატონების მამიდასა, იავნანინაო,  
ჩალხის აკვანი უდგასო, იავნანინაო,  
შიგ უწვეს ბატონიშვილი, იავნანინაო,

ურქმევია ლევანიო, იავნანინაო,  
მარგალიტის მტევანიო, იავნანინაო,  
დიბის საბანი უხურავს, იავნანინაო,  
ატლასის არტახები აქვს, იავნანინაო,  
მარგალიტის ჩანჩხურაო, იავნანინაო,  
არწევსო ბატონიშვილი, იავნანინაო,  
ზედ უსხედან ბატონები, იავნანინაო,  
დასძახიან ნანასაო, იავნანინაო.  
ბატონების ბაღშიაო, იავნანინაო,  
მუხას ვაშლი ასხიაო, იავნანინაო,  
ზედ ბულბულები სხედანო, იავნანინაო,  
დასძახიან ნანასაო, იავნანინაო,  
იავნანინაო, ნანა, ვარდო, ნანა, იავნანინაო,  
იასა და ვარდსა ვკრეფო, იავნანინაო,  
ბატონების გზაზე ვფენო, იავნანინაო.

ქართლში ბატონებს ოჯახიდან 25 დღის შემდეგ გაისტუმრებდნენ. ამ დღისათვის ქადებს აცხობდნენ და უბნის ქალებს იწვევდნენ, აქვე იყვნენ ოჯახის წევრი მამაკაცები. აკეთებდნენ აგრეთვე „ბატონების დედოფალას“, რომელსაც თეთრი ტანსაცმლით შემოსავდნენ და ბატონების სუფრაზე დადებდნენ, შემდეგ კი ბარბარეს ხატში წაიღებდნენ.

სასიამოვნო გარემო, ლამაზი სათამაშოები, მორთული ბინა, სიმშვიდე და ალერსი აგადმყოფზე კარგად მოქმედებდა. ლოცვა და ლოცვისმაგვარი სიმღერა კი მას კეთილგანწყობას უქმნიდა და გამოჯანმრთელდებოდა.

გურიაში ყველიერის ორშაბათს, ხოლო ქართლში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში ყველიერის კვირას ან დიდმარხვის ორშაბათს ყვავილობას ანუ ყვავილბატონების დღეს აღნიშნავდნენ. ვისაც ეს ბატონები არ ჰქონდა მოხდილი, საქმიანობა ეკრძალებოდა. ხევსურების რწმენით, თუ ოჯახში ყვავილბატონებიანი აგადმყოფი იყო, შინ არ საქმიანობდნენ, სიმშვიდესა და სისუფთავეს იცავდნენ. ავადმყოფი თუ შეწუხდებოდა, დედა ან ახლობელი გარს შემოუვლიდა და იტყოდა:

— ღმერთო, ჩემი თავი ააფარეო.

ასევე იქცეოდნენ თუშეთში. იქ, მსგავსად სხვა კუთხეებისა, ყვავილბატონებიან ავადმყოფს ჩონგურის დაკვრითა და ტკბილი სიმღერით ართობდნენ. იქაც უქმობდნენ, მხოლოდ თითისტარზე ართავდნენ — ეს ანგელოზს უხარიაო.



# ოჩხარი

ოჩხარი ნივთიერი ურთიერთდახმარების ერთ-ერთი ფორმა იყო ძველ საქართველოში. მას აწყობდა გაღარიბებული ოჯახი, რომელსაც ცხვარი გაუწყდებოდა ან საქონლის დანაკლისი მოუვიდოდა. ოჩხარის მომწყობი გამართავდა ნადიმს, რომელზეც მეზობელ-ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს პატიჟებდა. ოჯახიდან ოჩხარზე მხოლოდ ერთი კაცი მიღიოდა. სუფრას დეკანოზი დალოცავდა. ნადიმის მსვლელობისას თამადა ან მასპინძელთან დაახლოებული კაცი გამოაცხადებდა, თუ მოწვეული სტუმრებიდან ვინ რა საშუალებით დაეხმარებოდა მასპინძელს.

— ესა და ეს კაცი ოჯახს ათი ცხვრით შეეწიაო! — გამოაცხადებდა იგი.

— ღმერთმა ააშენოსო! — პასუხობდა ყველა.

მთიან ადგილებში ოჩხარს უმეტესად მეცხვარები აწყობდნენ ცხვრის შესაგროვებლად. იმართებოდა აგრეთვე თივის ოჩხარი და პურის ოჩხარი. სტუმრებს დამატებით მოპქონდათ ყველი, ერბო, ფქვილი, მატყლი და სხვა, ხოლო შეპირებული საქონელი მეორე დღეს მიჰყავდათ მასპინძელთან.

ოჩხარს ზოგჯერ სოფლის თავკაცები მართავდნენ რომელიმე მოსახლის დასახმარებლად. ოჯახს ოჩხარის მოწყობა წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეეძლო. მდიდარი ოჯახი ოჩხარის მოწყობას არ იკადრებდა.

რაჭასა და ზემო იმერეთში ოჩხარს საერთო ხარჯით გამართულ ლხინს ეძახდნენ. ოჩხარსვე უწოდებდნენ რაჭაში გოგო-ბიჭების სალხინოდ შეკრებას.

დახმარების მიზნით ოჩხარის მოწყობას არც თავადები და აზნაურები უკადრისობდნენ. მეტად შშვენიერი თქმულება არსებობს ქართლელი თავადის მიერ გამართული ოჩხარის შესახებ. მას დაუპატიჟნია საქონლის პატრონები. მოსულან თავადები, აზნაურები და გლეხები. ყველანი თავიანთ საკადრის ადგილას დაუსხამთ სუფრაზე. ბოლოს საძოვრიდან მომავალი, ძველმანებით შემოსილი ერთი გლეხი სწვევიათ, რომელიც სუფრის ბოლოში უპატივცემლოდ დაუსვამთ. ჩამოუკლია კაცს და უკითხავს სტუმრებისათვის:

— აბა, ვინ რას შეაწევთ თავადიშვილსო?

ყველას თავისი ქონებისდა კვალად შეუწევნია: ზოგს — ხუთი ცხვარი, ზოგს — ათი, ზოგს — თორმეტი და ასე შემდგა.

ბოლოს გამომცხადებელი მისულა სუფრის ბოლოში უპატიოდ დასმულ გლეხთანაც დადაცინვით უკითხავს:

— აბა, შენ რაღას აჩუქებ ჩვენს მასპინძელსო?

გლეხი წამომდგარა, თავადებისაკენ ამაყად მიბრუნებულა და ომახიანად დაუწყია:

განა არ იცი, ბატონო,  
კვერნაკი დიდი მთა არი,  
სამახი სული ძროხა ძყავს,  
იმის ხბორები სხვა არი.  
ხუთი ათასი ცხვარი ძყავს,  
იმის ბატკანი სხვა არი.  
ექვსასი სული ღორი ძყავს,  
იმისი გოჭი სხვა არი.  
ძმა და ძმისწული ცხვარში ძყავ,  
მოჯამაგირე სხვა არი,

სამოცი სული მწყემსი ძევა,  
მოშედვათ სხვა არი.  
სამოცი სული ძაღლი ძევა,  
პარკის გოშია სხვა არი.  
ას ცხვარსა მენაც გაჩუქებ,  
როგორც მუნია თხა არი.  
ბოლოშიც კარგად მოვილხენ,  
ვითომ თავს ჯდომა რა არი?!

ასე შეარცხვინა თურმე გლეხმა თავადები, რომლებსაც იგი უქონელი ეგონათ.



# ლექსიკონი

- აკიდო — გაზის მოკლედ აჭრილი, წყვილმტევნიანი რქა.
- ალავერდი — მონასტერი კახეთში.
- ალავერდობა — ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც წევობა ალავერდის მონასტერში მოსავლის აღეცის შემდეგ.
- ამალა — მალალი თანამდებობის პირის მხლებლები.
- ამაღლება — ქრისტიანული დღესასწაული, აღინიშნება აღდგომიდან მე-40 დღეს, როცა მკვდრეთით აღმდგარი იქსო ქრისტე ზეცაში ამაღლდა.
- ანგელოზი — ციური არსება, ღვთის მოციქული, შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის.
- არიფანა — საერთო ხარჯით გამართული ნადიმი.
- არული — შეძახილი ჭიათურობის დროს მავნე სულების დასაფრთხობად.
- ასკანა — სოფელი გურიაში.
- ატლასი — აბრეშუმის პრიალა ქსოვილი.
- აღება — მარხვის შემოსვლის წინადევ. ყველიერის აღება, ხორციელის დაურწყება — ყველიერის წინადევ. დიდი აღების დღე, — დიდი მარხვის წინადევ.
- აყვრიალებს — აბრიალებს (თვალებს).
- ახო — საყანედ გაკაფული ტყე.
- ბაგა — საკეთი ხასაყრელი დაბმული საქონლისათვის.
- ბაზიერი — ქორ-შევარდენთა სანალიროდ დამგეშველი.
- ბაზიერთუხუცესი — ბაზიერთა უფროსი მეფის კარტე.
- ბაზმა — ზეთის პატარა სანათო. დამტკრული ნიგოზის ანთება სახადით აყადმყოფისათვის.
- ბაკი — საქონლის დასამწყვდევი გადაუხურავი ადგილი. ზოგ კუთხეში აღნიშნავს ეზოს.
- ბანი — დატყვინილი მიწის ბრტყელი სახურავი სახლისა.
- ბარაქა — დიდი მოსავალი, ხვავი.
- ბასილა — საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახით ან მზის, მთვარის, ხორბლის, ღვინის, სიმინდის და სხვათა გამოსახულებით. მომდინარეობს ქრისტიანული ეკლესიის დიდი მამის წმინდა ბასილისგან.
- ბაძგი, ჭყორი — მარადმწვანე ბუჩქი, იკეთებს თურ ყვავილს, ისხამს მოშავო წითელ კურკიან ნაყოფს, გაფრცელებულია ჩენეს ტყეებში.
- ბახვი — სოფელი გურიაში.
- ბეღელი — პურუულის, სანოვაგისა და ხილის შესანახი ნაგებობა.
- ბზე — პურუულის ნამჯის ნალწი.
- ბუდეშური — ადრეული გაზის ჯიში, ისხამს მკრთალი მწვანე უერის მოგრძომარცვლიან ტკბილ ყურძნს.
- ბურბუშელა — შალაშინით ათლილი თხელი შრე მერქნისა, მეტწილად დახვეული.
- ბჟევი — დიდი კარი, შესასვლელი.
- განატეხი — სარიტუალო ნამცხვარი.
- გაფურჩქა — გაშლა, გაზისთვის ზედმეტი ფოთლებისა და შტოების მოცვა.
- გვალვა — ხანგრძლივი უწვიმობა და დიდი სიცხე.
- გვრიჭა — მრგვლად დახვეული ნართი.
- გიდელი — ტკბით მოწნული პატარა ჭურჭელი, გურიასა და ქვემო იმერეთში მოგრძო, პირგანიერი და ძირწვრილი მაღლარიდან ყურძნის ძირს ჩამოსაშვებად.
- გობი — დიდი ზომის ამოთლილი ხის ჭურჭელი.
- გოდორი — წნელით ან ტკბით მოწნული მოზრდილი მაღლი ჭურჭელი.
- გონჯა — ძონძებში გახვეული, ერთმანეთზე ჯვარედინად დამაგრაბული ორი ჯოხი ადამიანის ფორმისა ან თიხის თოჯინა, დაჰქონდათ კარდაკარ გონჯაობის დროს.
- გონჯაობა — გვალვის დროს გონჯათი ხელში კარდაკარ სიარული და ვედრება წვიმის მოსაყვანად.
- გოშია — პატარა ძაღლი.
- გრძნეული — ჯადოქარი, მისანი, კუდიანი.
- გუდა — ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკი.
- დავთარი — დიდი ზომის რეველი სხეადასხვა ხასიათის ანგარიშის ჩასაწერად.
- დაირა — ხის რკალზე ცალ მხარეს ტყავგადაკრული საკრავი, რომელსაც ხელის თითების ცემით უკრავენ.
- დარი — უავდრო, მზიანი ამინდი.
- დასტური — ხატის მსახური ფშავ-ხევსურეთში, რომელსაც ლუდის ხარშვა და დეკანოზის დახმარება უვალებოდა.
- დედაბობი — ძველი ქართული სახლის — დარბაზის შეუაში მდგარი მთავარი ბოძი, რომელზედაც მთელი სახურავია დაყრდნობილი.
- დეკანოზი — ქართული ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; ხატის მსახური საქართველოს მთანეთის ზოგ კუთხეში ძველად.
- დიბა — ფარჩა, ძვირფასი ქსოვილი.
- დიდო, დიდოელი — დაღესტანში შემავალი კუთხის, დიდოეთის მცხოვრები.
- დოფლათი — ქონება, სიმდიდრე, სიუხვე, ბარაქა.
- დოღი — ცხენების შეჯიბრება ჭენებაში.
- დუდუკი — ჩასაბერი საკრავი, ხის ან ლერწმის მილი. დუშმანი — მტერი.
- ენდრო — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იკეთებს მოყვითალო ყვავილს, აქეს შავი წვნიანი ნაყოფი. მისი ფეხსვებიდან წითელ საღებავს აკეთებენ.
- ერდო — სახლის ბანში შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი, რომელსაც საკამურისა და სარკმლის დანიშნულება პქონდა.
- ეშმაკი — ბოროტი, ავი სული, სატანა, მაცდური.
- ზარბაბი — აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი.
- ზიზილა — დაბალი, ლამაზი მცენარე, უფოთლო ღეროზე აქეს პატარა თეთრი ან მოწითალო ყვავილები, ყვავის მთელი ზაფხული.

**ზურნა** — აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი.

**თასი** — ფიალა, ჯამის ფორმის სასმისი.

**თემი** — გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით ერთად მცხოვრები მოსახლეობა, რამდენიმე სოფელი. თითა — თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, ისხამს მსხვილ და მოგრძომარცვლებიან მტევანს.

**თოთისტარი** — თავა და ბოლოში წვრილი, ქვედა ნაწილში გამსხვილებული ჩხირი, რომლის პზრიალით ძაფს ართვენ.

**თოხისტარი** — იგივეა, რაც ბოლოქანქარა.

**იალაღი** — მთის საზაფხულო საძოვარი.

**იოანე** ნათლისმცემელი — დიდი ქრისტიანული წმინდანი, რომელმაც იწინასწარმეტყველა იქსო ქრისტეს მოულინება და მონათლა იგი იორდანეს წყალში.

**კალათი** — ტკეჩით დაწწული სახელურიანი ჭურჭელი.

**კალო** — მოსუფთავებული და დატკეპნილი მომრგვალო ადგილი პურულის ძნის გასაღწად.

**კვერი** — პურის საღწი იარაღი, რომელიც წარმოადგენს წინისაკენ თანდათან დაფიციროებულ და თავჭეულ ფართო, სქელ ფიცრს, რომელსაც ძირქე კავის ნატეხები აქვს ჩასმული. მასში ხარებს აბამდნენ და კალოზე ატარებდნენ.

**კერა** — ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის ნიადაგზე ან ადგილას დადებული თლილი ქვა, რომლის წინაც ცეცხლი ანთია.

**კვერი** — პატარა ბრტყელი, მრგვალი პური.

**კვერნაკი, კვერნაქი** — მთა, ქედი შიდა ქართლში.

**კიჭები** — კბილები.

**კოკა** — წყლის საზიდი დიდი ზომის თიხის ჭურჭელი.

**კოდი** — ხის დიდი ჭურჭელი, გაეთებული გულამოლებული მორისაგან, იხმარება მარცვლეულის, ფეხილის, რძის ნაწარმის შესანახად.

**კორკოტი** — ნაყვით კანგაცლილი ხორბალი, რძეში ან წყალში მოხარშული და ერთოთ ან ნიგვზით შეზაებული.

**კუბდიანი, კუბდარი** — პური, რომელშიც ხორცია ჩართული.

**კუდიანი** — ჟი სული, ეშმაკი, გრძნეული, ჯადოსანი ქალი.

**კურთხვა** — სასულიერო პირის მიერ დალოცვა ჯვრის გადასახვით.

**ლაშეთი** — თემი ქვემი სვანეთში.

**ლეკი** — დაღესტნის ხალხების (ხუნძების, ლაკების, ლეზების და სხვათ) საერთო სახლი.

**ლიტანია** — საყველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან. იმართება დიდი დღესასწაულების დროს.

**მავნებელი** — მავნე სული, ეშმაკი.

**მარანი** — ღვინის დასაცენებელი და შესანახი ადგილი.

**მარგვალა, გამარგვალა** — გაწმენდა სარგველა მცენარეებისაგან.

**მარიამობა** — დიდი ქრისტიანული დღესასწაული, ღვთასწობლის მიძინების დღე, აღინიშნება აგვისტოში.

**მარხვა** — სარწმუნოებრივი წესი, რომლის დროსაც

იკრძალება ხორცეულისა და რძის ნაწარმის ჭამა.

**მაფრაში** — სქელი ქსოვილისაგან შეკერილი ტომარა ლოგინისა და ტანსაცმლის გადასატანად.

**მდგნალი** — დაბალი ხე ტირიფის გაგრისა, აქვს ქვემოდან თეთრი ბეწვით შემოსილი ფოთლები, იკეთებს პატარა ბუსუსოვან ყვავილებს, ყვავის ფოთლების განვითარებამდე.

**მეჯინიბე** — საჯინიბოში მომუშავე, ცხენების მომკლელი.

**მეჯინიბეოუხუცესი** — მეჯინიბეთა უფროსი მეფის კარზე. მირქმა, მიგებება — ქრისტიანული ღღესასწაული თებერვალში. დაბადებიდან მე-40 დღეს იქსო მიიყვნენ იერუსალიმის ტაძარში, სადაც დახვდათ მოხუცი სიმონი, რომელმაც იცნო ყრმა მესია და გულზე მიიკრა იგი.

**მოარული** — გადამდები სენი.

**მოოხება** — დარდის, მწუხარების, სევდის გაქარვება.

**მოჯამაგირე** — დაქირავებული მუშა.

**მუგუზალი** — ცეცხლმოკიდებული შეშა.

**მურყვამი** — კოშკი სვანურად.

**მუშკი** — მძაფრი სუნის მქონე ნივთიერება.

**ნალია** — სასიმინდე.

**ნათლისლება** — მართლმადიდებლური საეკლესიო დღესასწაული — ქრისტეს მონათვლა. აღინიშნება იანვარში.

**ორშიმო** — აყიროსაგან გაეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვერიდან ღვინის ამოსაღებად.

**ორხუა** — ხალიჩა.

**პარხალი** — სოფელი და მხარე სამხრეთ საქართველოში, ტაო-კლარჯეთში. ამჟამად თერქეთის შემადგენლობაში.

**რიონი** — მდინარე დასავლეთ საქართველოში.

**რიტუალი** — სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულება.

**როდინი** — საოჯახო ხელსაწყო, ნიგოზისა და სხვათა დასანაყად.

**როკაპი** — ჯადოქრების, კუდიანების უფროსი.

**საბუდარი** — შინაური ფრინველის ბუდე.

**სალამური** — ლერწმის ან ხის ჩასაბერი სალხური საკრავი.

**სამაია** — ქალების ფერხული.

**საფუარი** — დამჟავებული პურის ცომი, რომელსაც ახალ ცომში ურევენ ასაფუებლად.

**საწნახელი** — კურძნის საწური დიდი გრძელი ჭურჭელი ხისა ან ქვითკირისა.

**სახადი** — გადამდები დაგადება, რომელიც ერთხელ მოხდის შემდევ აღარ ემართებათ.

**სახველი** — ხენისთვის განკუთვნილი ხის ან რკინის იარაღი.

**სახლობა** — ოჯახი, ოჯახის წევრები, ჯალაბობა.

**საჯინობო** — ცხენების სადგომი.

**სტკირი** — ხალხური ჩასაბერი საკრავი დამზადებული მცენარის ღრუე ღროსაგან და გუდისაგან.

**სურო** — მარამდებარე მცოცავი მცენარე, რომელიც ემაგრება ხევზე.

ტაბიკები — უდელში წყვილ-წყვილად ჩაყრილი თაყ-  
მსხვილი ჯოხები ხარების შესაბმელად.

ტაბლა — ტაბაკზე, ხონჩაზე დაწყობილი საჭმელ-  
სასქელი.

უმძრახად — სიტყვის უთქმელად.

უმძრახი წყალი — რაიმე წეს-ჩვეულებასთან დაკავშირე-  
ბით დილას სიტყვის უთქმელად აღებული წყალი.

უპატიოდ — პატივის გარეშე, უპატივცემლოდ.

უქმე — დღე, როდესაც არ საქმობენ.

უღელი — გათლილი ხე წყვილი ხარის ან კამეჩის  
ქედზე დასადგმელი ურეშში შესაბმელად.

ფანდური — ქართული ხალხური სამსიმიანი საკრავი.

ფარდაგი — მსხვილი მატყლის ძაფის ქსოვილი.

ფარქი — ცხვრის საზამთრო სადგომი.

ფელამუში — უერძნის ტკბილისა და ფქვილისაგან  
დუღილით გაეთუბული ფაფისებრი საჭმელი, თათარა.

ფერხისა — ერთგარი ძველებური ჯგუფური ცეკვა.

ფერხული — ქართული ჯგუფური ცეკვა, ხელ-  
ჩაკიდებული მოცეკვაენი წრეს უვლიან და მღერიან.

ფუძის ანგელიზი — სახლის ან კერიის მფარველი  
კეთილი არსება, ანგელოზი ან მისი მსგავსი, სალოცავად  
მიღებული და სიკეთის მომტანი, რომელიც იფარავს  
სახლს, იქ მცხოვრებთა ჯანმრთელობას, ბარაქასა და  
დოვლათს.

ქქა — ნაბადი.

ქრისტეშობა — ქრისტეს დაბადების დღესასწაული.

ღვლერჭი — დაგრეხილი წნელი.

ღოძი — პურული მცენარე, ამ მცენარის მარცვლისაგან  
დაშხადებული ფაფის მსგავსი საჭმელი.

ყაბახი — სამიზნედ დადგმული თასი, რომელსაც  
ისარს ესროდნენ.

ყველიერი — დიდმარხვი წინა კვირა, როცა რძე და  
მისი ნაწარმი იჭმევა.

შაირი — სახელდახელოდ თქმული ლექსი.

შარფი — ყელხე მოსახვევი გრძელი ქსოვილი.

შეველვა — ვაზის სარჩე მიკვრა.

შინური მეკვლე — ოჯახის წერი, რომელიც გარეთ გადის  
ხონჩით და შემოსვლისას ულოცავს სახლობას ახალ წელს.

შიოს მარანი — უღელევი სიმდიდრე, დიდი ქონება,  
სიუხვე. VI საუკუნეში საქართველოში ქრისტია-  
ნობის განსამტკიცებლად ასურეთიდან ითანე ზედა-  
ზნელის მეთაურობით ცამეტი ასურელი მამა მოვი-  
და. ერთმა მათგანმა, წმინდა შიომ, მცხეთის ზემოთ,  
ძეგვის პირდაპირ, მტკვრის მარცხნა მხარეს, მღვიმე-  
ში მონასტერი დააარსა. შემდგომში შიოს მღვიმელი

წიოდა, ხოლო მონასტერის შიო მღვიმელისა. მონას-  
ტერში შიოს მარანიც ჰქონია. მისულ მლოცველებს  
უმასპინძლდებოდა კიდეც, ღვინოს ასმევდა. ლეგენდის  
თანახმად, ქვერებს ღვინო მოაკლდებოდა თუ არა,  
მაშინვე პირამდე ივსებოდა. აქედან გამოთქმა „შიოს  
მარანი“ უღელელი, უხვი, დიდი ქონების სინონონიმად  
იქცა.

შურდული — ქვის სასროლი იარაღი.

ჩანჩხურა — ასხმული მძვივი.

ჩიხტიკოპი — თავზე დასადები რკალი, რომელზედაც  
თვესაკრავია გადაკრული.

ჩონგური — ქართული ხალხური ოთხსიმიანი საკრავი.

ჩხავერი — მოგრძომტუნინანი ვაზის ჯაში, იცის  
საუკეთესო ღვინო, გავრცელებულია გურიასა და  
აჭარაში.

ცხავი — საცრის მსგავსი ხელსაწყო, რომლითაც  
ხორბალს წმენდენ კილის, ბზისა და მისთანათაგან.

ძეგვი — ეკლესიანი დატოტვილი ბუჩქი.

წული — შვილი.

წყალკურთხევა — კურთხევა ნათლისღების დღეს,  
ნათლისღება.

ჭიბინი — იგივეა, რაც გუდასტვირი.

ჭრაქი — ნავთის ჩასასხმელი ჭურჭლისა და  
პატრუქისაგან შემდგარი გასანათებელი მოწყობილობა. ჭყონდიდელი — მწიგნობართუხუცესი, მთავარი ვეზირი  
საქართველის მეფის კარჩე შუა საუკუნეებში.

ჭყორი — იგივეა, რაც ბაბგი.

ხალამი — იგივეა, რაც ღერგი, თიხის ჭურჭელი.

ხარის ქედი — კისერი, უღლის დასადები ადგილი.

ხატი — ღვთაების ან წმინდანის მხატვრული  
გამოსახულება ან ღვთაების სამყოფელი სალოცავი  
ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეებში.  
ხატის ყმა — ხატს დამორჩილებული მამაკაცი  
აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეებში.

ხევისბერი — მთავარი მღვდელმსახური ხატში.

ხმიადი — უსაფუვროდ გამომცხარი პური.

ხონჩა — მოგრძო ტაბაკი, რომელზედაც სანოვაგეს  
აწყობენ.

ხურჯინი — ორთვლიანი ნაქსოვი ჩანთა, მხარჩე ან  
ცხეწე გადასაკიდებელი.

ჯაგანი — გრძლად ასხმული ყურძნის მტკვნები.

ჯირითი — ცხენის ჭენება.

პიმი — საზეიმო სიმღერა ან ღვთაების სადიდებელი,  
საგალობელი.

პოოპუნა — შეძახილი მომკელთა სიმღერაში.

# გამოყენებული ლიტერატურა

- ნინო აბაკელია, ქეთვან ალავერდაშვილი, ნინო ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1991 წ.
- ნინო აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, 1997 წ.
- არჩილი, საქართველოს ზნეობანი. თეიმურაზ მეორე, დღისა და დამის გაბაასება, 1976 წ.
- ვერა ბარდაველიძე, აგუნა-ანგურა, ძეგლის მეგობარი, № 16, 1968 წ.
- ვერა ბარდაველიძე, სანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, 1939 წ.
- ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ.
- ნელი ბრეგაძე, ბერიკაობისისტორიის შესწავლისათვის, მაცნე, 1980 წ.
- ნელი ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969 წ.
- თამაზ ბიბილური, წელიწადის დრონი, 1989 წ.
- თეიმურაზ გვიმრაძე, მევენახეობასთან დაკავშირებული სამეურნეო რელიგიური დღესასწაულები კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, 1999 წ.
- თეიმურაზ გვიმრაძე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო რელიგიური დღესასწაულები კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, 1999 წ.
- იაკობ გოგებაშვილი, საგანძურო, 1982 წ.
- გიორგი გოცირიძე, ხვწვრილის ჩანწერები, საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მასალები, 2010 წ.
- ზაქარია ედილი, საინგილო, 1997 წ.
- ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, 1973 წ.
- ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1987 წ.
- შ. ვანილიშვილი, ა. თანდილავა, ლაზეთი, 1964 წ.
- ფიქრია ზანდუკელი, ქართული აკვის ლექსიმდერები, მაცნე, № 2, 1964 წ.
- ზურაბ თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, 1980 წ.
- ექვთიმე თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960 წ.
- ნინო თოფურია, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები), 1984 წ.
- გაზეთი „კავკაზი“, № 25, 29 მარტი, 1850 წ.
- გაზეთი „კავკაზი“, № 11, 9 ოქტომბერი, 1851 წ.
- ექვთიმე კოჭლამახაშვილი, ლამბრობის სულიერი შინაარსისათვის, ფურნალი „რელიგია“, № 11-12, 1998 წ.
- არქანჯელო ლამბერტი, სამეცნიერო აღწერა, 1991 წ.
- ანდრო ლევაშვილი, შენ ხარ ვენახი, 1972 წ.
- გიორგი ლეონიძე, ნატვრის ხე, 1990 წ.
- ლექსო არ დაიკარგები (ქართული ხალხური პოეზია), 1985 წ.
- შზა მაკალათია, წყლის კულტის გადმონაშობი შიდა ქართლში, შიდა ქართლი (ეთნოგრაფიული გამოკვლევა), 1987 წ.
- სერგი მაკალათია, ახალწელიშვილი საქართველოში, 1927 წ.
- სერგი მაკალათია, ხვსურეთი, 1984 წ.
- სერგი მაკალათია, ფშავი, 1985 წ.
- სერგი მაკალათია, მთიულეთი, 1930 წ.
- სერგი მაკალათია, თუშეთი, 1983 წ.
- სერგი მაკალათია, მთის რაჭა, 1987 წ.
- სერგი მაკალათია, ხევი, 1934 წ.
- სერგი მაკალათია, სამეცნიერო ისტორია და ეთნოგრაფია, 1992 წ.
- სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1957 წ.
- სერგი მაკალათია, ატენის ხეობა, 1957 წ.
- სერგი მაკალათია, ლიახვის ხეობა, 1971 წ.
- სერგი მაკალათია, ქნის ხეობა, 1969 წ.
- რონ მალაყმაძე, ლიგანის ხეობა, 2008 წ.
- მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1980 წ.
- მასალები თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967 წ.
- მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1978 წ.
- მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1985 წ.
- მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1972 წ.
- მასალები სამეცნიერო ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1979 წ.
- მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, 1955 წ.
- მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1963 წ.
- მასალები სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970 წ.
- ბესარიონ ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, 1964 წ.
- ჯუნის ონიანი, სვანური მურყებამობა-კვირიაობა, მაცნე, № 3, 1969 წ.
- ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), 1991 წ.
- ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხვსურეთი, I, 1988 წ.
- ალექსი ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხვსურეთი, II, 2005 წ.
- ჯულიეტა რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, 1966 წ.
- ჯულიეტა რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, 2003 წ.
- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VI, 1978 წ.

თედო სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზავანო, აფხაზეთი), 1950 წ.

სოსო სტურუა, ბერობანა შავშეთში, ურნალი „ფუძე“, № 2, (16), 2008 წ.

კვირიკე სუბელიანი, ხალხური დღეობა ლამპრობა, გაზეთი „მადლი“, № 4, 10 მარტი, 1992 წ.

ტაო-კლარჯეთი, საერთაშორისო კონფერენცია, მასალები, 2010 წ.

პეტრე უმიკაშვილი, ახალი წელი ქართლში, ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, 1964 წ.

ლევან ფრუიძე, მეექნახეობა და მეღვინეობა საქართველოში, წ. I, რაჭა, 1974 წ.

ლევან ფრუიძე, ყოფა და ტრადიციები, 1981 წ.

ლევან ფრუიძე, რაჭა ეთნოგრაფის თვალით, 1986 წ.

შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, 1993 წ.

ქართული ხალხური პოეზია, ტ. V, საწესებელებო ლექსები, 1976 წ.

ქართული ხალხური პოეზია, ტ. VII, საყოფაცხოვრებო ლექსები, 1979 წ.

ქართული ხალხური პოეზია, ტ. VIII, საყოფაცხოვრებო ლექსები, 1979 წ.

ქართული ხალხური პოეზია, ტ. IX, საყოფაცხოვრებო ლექსები, 1981 წ.

ქართული ხალხური პოეზია, ტ. X, შრომის ლექსები, 1983 წ.

ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. 1, პოეზია, 1975 წ.

ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. 2, პოეზია, 1991 წ.

ქვემო ქართლი (ეთნოგრაფიული გამოკვლევა), 1990 წ.

ნინო ღამბაშიძე, ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი), 2004 წ. ანა ღვითიაშვილი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, 1979 წ.

ვახტანგ შამილაძე, ალპური შესაქონლეობა საქართველოში, 1969 წ.

ნუგზარ შატაიძე, პურის მოთხრობა, 1998 წ.

ნელი ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, ბალსხემოური კილო, 2003 წ.

მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956 წ.

გიორგი ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, 1990 წ.

აკაკი წერეული, ჩემი თავგადასაგალი, 1990 წ.

აპოლონ წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, 1971 წ.

ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928 წ.

ფანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 2012 წ.

ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938 წ.

მოსე ჯანაშვილი, საინგილო, 1996 წ.

დიმიტრი ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, წ. I, 1948 წ.

დიმიტრი ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, I, 1983 წ.

ქეთვან ჭითანავა, მეგრული საწესო სიმღერა „მზე შინაო“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, 1985 წ.

ლალი ჭინჭალეიშვილი, კალანდობა გურიაში, ეთნოგრაფიული ძიებანი, 1988 წ.

ლია ჭყონია, რთველი კახეთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, V 2003 წ.



PUBLISHING HOUSE සාමාජික ප්‍රකාශක  
[saungeo@gmail.com](mailto:saungeo@gmail.com)  
[facebook.com/saunje publishing](https://facebook.com/saunje publishing)  
Tel: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88

K36 549  
4

## ძველი ქართული ყოფის სურათები

ნიგნში აღნერილია ქართული ხალხური დღეობა-დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები: ალილო, ახალი წელი, აგუნა, ლამპრობა, ჩიტიფაფობა, ძეობა, ბერიკაობა, ყენობა, კოშკობა, ჭონა, ნადი, გონჯაობა-ლაზარობა, შუამთობა, რთველი და სხვა.

აյ წარმოდგენილი რიტუალები, ხალხური ლექსები და წეს-ჩვეულებები ერის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომლის დაცვის კონვენცია იუნესკომ მიიღო და მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით ითვალისწინებს ამ მემკვიდრეობის დაცვას, კვლევას, შენახვას, აღორძინებას და პოპულარიზაციას.

ეს კრებული გააცნობს ჩვენს ბავშვებს ძველი ქართული ყოფის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს – იმ დღეობებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც უფრო მეტად აღამაზებდნენ, ახალისებდნენ და ამრავალფეროვნებდნენ ჩვენი წინაპრების ცხოვრებას.

## Pictures of life in old Georgia

The book describes the most significant part of Georgian folk holidays and traditions that lasted for centuries. These traditions are key to understanding the lifestyle of previous generations. The rituals, mentioned in this collection of stories, teach us a lot about how people lived and celebrated certain events. Children and young adults played important role in these celebrations, thus it is important to explain their meaning to future generations.

The rituals, folk poems and customs, described in this book, represent the most vital part of non-material culture of the nation; they became the part of UNESCO World Heritage Convention, this means they will be protected and researched in order to preserve, revive and popularize.

The rituals that took part during celebrations were incredibly beautiful and attractive, thus they shouldn't be forgotten; on the contrary, we should study and use them in the process of bringing up our children.

ISBN 978-9941-451-33-1

9 789941 451331

ნიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და  
ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭარით

